



უნივერსიტეტი

27 თებერვალი, პარასკევი, 2015 წ., №2

წომე რეში



დავით უსუფაშვილმა თსუ-ში „წლის პირველი საჯარო ლექცია“ წაიკითხა

გვ. 2

თსუ-ის მოდერნიზაციის კომისიის სხდომაზე

გვ. 3

მეცნიერებათა აკადემიის მთავარ გამომცემს მალალი დონის „იმპაქტ-ფაქტორი“ (3.849) მიენიჭა



გვ. 3



სამკურნალო წამლების დამზადების ახალი ნანოტექნოლოგია

გვ. 5



გურამ ნაჭყებია პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებებით მიმართავს

გვ. 7

სურ-მუიჰი

გვ. 8-9 გვ.

პატრიარქმა უნივერსიტეტი წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა



საპარტევლოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ უნივერსიტეტი „ახალგაზრდა თაობაში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და მათში ეროვნული სულიკვთების განმტკიცებისთვის, ღრმა მაცნეირული აზროვნების დამკვიდრებისა და, ზოგადად, ქვეყნის წინსვლაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის“ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა. მისი ტარების უფლება მხოლოდ მოქმედ რექტორს აქვს.



პროფესორები და სტუდენტები ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსის სარგებლობით დღიდან არ გამოირჩევიან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ლადო პაპავას პრესკონფერენციაზე, რომელიც, ძირითადად, 2015 წლის სამეცნიერო წლად გამოცხადებას ეძღვნებოდა, ერთერთმა სტუდენტმა კითხვა დასვა — არსებობს თუ არა მონაცემები, რამდენი პროფესორი და რამდენი სტუდენტი სარგებლობს ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზით. სწორედ ამ ბაზის მიხედვითაა ხელმისაწვდომი სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ლიტერატურა, ნაშრომთა ანოტაციები და მიმოსილვითი ხასიათის მასალები. მართალია, რექტორს არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსების მოხმარების თაობაზე, მაგრამ მან ზოგადად მიუთითა, რომ არც უნივერსიტეტის პროფესორები და არც სტუდენტები ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსის სარგებლობით დღიდან არ გამოირჩევიან. „ის ინიციატივები, რომელიც ჩვენ წლევანდელი წლის სამეცნიერო წლად გამოცხადების პარალელურად შემოგვავაძეს, უკავშირდება არა მხოლოდ იმ მოთხოვნის დაყენებას, რომ გაიზარდოს სამეცნიერო კვლევის ხარისხი, არამედ მოლოდინსაც, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოება აქტიურად ეცნობოდეს იმ საბიბლიოთეკო ბაზებს, რომელთაც ჩვენ მათ ვთავაზობთ. ეტყობა უფრო სერიოზული მუშაობაა საჭირო ამ საკითხის დაკავშირებასთან დაკავშირებით. როცა ჩვენ პროფესორებს სამეცნიერო აქტიურობის გაზრდას ვაიჟულებთ, ისინი ვალდებული იქნებიან — საბიბლიოთეკო რესურსიც ნახონ ვაგვიჩვენონ და შემდეგ თავიანთ სტუდენტებსაც უჩვენონ — რა ნაიკითხონ და როგორ“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

გვ. 2 გვერდზე



პროფესორები და სტუდენტები ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსის სარგებლობით დიდად არ გამოირჩევიან

პირველი გვერდიდან

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის ხელთ არსებული სტატისტიკის თანახმად, 2014 წელს სკოპუს ბაზებით ისარგებლა 4500 მომხმარებელმა. ხოლო ებსკოს ბაზებით დაახლოებით 700-მა მომხმარებელმა. ბაზებით დაინტერესება იმაზე დაბალია, რამდენად მაღალკვალიფიციურ ნაშრომს წერს მეცნიერი და რამდენად მასშტაბური განათლების მიღება უნდა სტუდენტს. საბიბლიოთეკო რესურსების მომხმარებელთა შესახებ სტატისტიკა კი საპირისპიროს მოწმობს. ამდენად, სასურველია, რომ აკადემიურმა პერსონალმა და ჩვენმა სტუდენტებმა უფრო მეტი ინტენსივობით გამოიყენოს ეს შესაძლებლობა.

ცნობისთვის:

თსუ-ის საბიბლიოთეკო ელექტრონული რესურსები შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი მოიცავს თსუ-ის ბიბლიოთეკის ფონდის დასკანერებულ დისერტაციებს, ნიგნებს, ჟურნალებსა თუ გაზეთებს. მეორე ნაწილი წარმოადგენს ორი კატეგორიის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების ერთობლიობით — ფასიანი გამოცემების ბაზები და უფასო სარგებლობის ბაზები. ფასიანი ბაზების სარგებლობის საფასურს ძირითადად იხდის უნივერსიტეტი. ამ კატეგორიაში შედის ძალზე ცნობილი ბაზები, მაგალითად, Ecnlit, Jstor, Scopus. ამ ბაზების შერჩევა ხდება თსუ-ს მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინებით. უფასო ბაზების რაოდენობა მუდმივად იზრდება. ტექნიკურად ბაზებში შედნევა ძალზე მარტივია — უნივერსიტეტის კომპიუტერებიდან და თსუ-ს კორპუსებში არსებული WIFI გამოყენებით რესურსზე პირდაპირი შესვლის გზით (მხოლოდ ზოგიერთი ბაზა ითხოვს



მარტივ რეგისტრაციას სააღრიცხვო ჩანაწერისა და პაროლის მისაღებად). ძალიან მოსახერხებელია, რომ წვდომა უნივერსიტეტის სივრცის მიღმა ხდება უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენებით. თსუ-ის ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებიდან ერთ-ერთი ყველაზე მრავალპროფილური მონაცემთა ბაზა — EBSCOHost (www.search.epnet.com), რომლის მეშვეობითაც ხელმისაწვდომია სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ლიტერატურა, ნაშრომთა ანოტაციები და მიმოხილვითი ხასიათის მასალები. იგი მომხმარებელს სთავაზობს მრავალ დაპატენტებულ და პოპულარულ სრულტექსტიან მონაცემთა ბაზას ინფორმაციის ნამყვანი მომწოდებლებისგან. ელექტრონულ ბაზის — Royal Society Journal Collection (http://royalsocietypublishing.org) — კოლექციაში შედის რეფერირებადი ჟურნალები ფიზიკისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა დარგში. სამედიცინო ხასიათის ელექტრონული რესურსი თსუ-ის სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ ე.წ. New England Journal of Medicine (www.nejm.org). მასში თავმოყრილია ბიოსამედიცინო მეცნიერებასა და კლინიკურ პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ახალი სამედიცინო კვლევების შედეგები, რეფერირებული სტატიები და

თემატური ანგარიშები. ასევე სამედიცინო სფეროს მრავალფეროვანი მასალებია — Oxford Textbook of Medicine (www.oxfordmedicine.com) — ბაზაში, რომლებიც ეხმარება სტუდენტებსა და დარგის სპეციალისტებს. ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული ნიგნები და ჟურნალები, ასევე დიჯიტალური სკანირები და ა.შ. BioOne (www.bioone.org) — შეიცავს მასალებს ბიოლოგიის, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სფეროებიდან. მომხმარებელს აქვს საშუალება გაეცნოს კვლევებს, რომლებსაც ამერიკის ბიოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის წევრი სამეცნიერო საზოგადოებები, მუზეუმები და სხვა კვლევითი ორგანიზაციები აქვეყნებენ. დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს, მოიძიოს სიტყვების მნიშვნელობა, ეტიმოლოგია, სინონიმები, გამოყენების სპეციფიკა და ა.შ. ბაზაში: Oxford Online Dictionary (www.oed.com). ეს ონლაინ-ლექსიკონია, რომელიც შეიცავს მილიონობით სიტყვას. OECD-Library (www.oecd-ilibrary.org) — მოიცავს მასალებს ისეთი დარგებიდან როგორცაა: ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, რეგიონული და ურბანული განვითარება, ფინანსები, ვაჭრობა, განათლება, სოციალური მეცნიერებანი, ტექნოლოგიები, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, და ა.შ. ელექტრონული ბაზა — Cambridge Journals Onli-

ne (www.journals.cambridge.org), მომხმარებლებს სთავაზობს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ 300-ზე მეტი დასახელების სამეცნიერო ჟურნალს, რომლებშიც სათანადოდაა გაშუქებული თანამედროვე სამეცნიერო პრობლემები. გარდა ამისა, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის შუამდგომლობით, უკანასკნელ წლებში შექმნილი და ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: JSTOR (www.jstor.org) ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ელექტრონული ბაზა, რომელიც შეიცავს ელექტრონულ ნიგნებსა და ჟურნალებს შემდეგი სფეროებიდან: ბიზნესი და ეკონომიკა, ჰუმანიტარული დისციპლინები, სამართალი, მედიცინა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებანი და სხვ. HINARI (Health Access to Research Initiative) (www.who.int/hinari) — მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დაარსებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზა გახლავთ, რომელიც მოიცავს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს კოლექციას ბიომედიცინისა და ჯანდაცვის სფეროებიდან. ელექტრონულ ბაზაში სულ დაცულია 150-ზე მეტი გამომცემლობის მასალები. მათ შორისაა — Blackwell, Elsevier Science, Springer Verlag, the Harcourt Worldwide STM Group, Wolters Klu-

werInternational Health & Science და ა.შ. HINARI მოიცავს სულ 11.400 ელექტრონულ ჟურნალს 30 ენაზე და 18.500 ელექტრონულ ნიგნს. გარდა ამ ბაზებისა, თსუ-ის სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია უფასო ელექტრონული რესურსებიც, სადაც თითქმის ყველა პროფესიის მქონე ადამიანისთვის სასურველი ლიტერატურის მოძიება შესაძლებელია.

სიახლე:

ამ დღეებში თსუ-ის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს საერთაშორისო რესურსების ახალ ბმულებს, რომლებიც გამოადგება თსუ-ის ყველა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, რომლებიც ენევიან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს. ასევე განთავსდება სკოპუს ბაზების გამოყენების ინსტრუქცია ქართულ ენაზე. ყველა შესაძლო რესურსის გამოყენება უზრუნველყოფს წვდომას ასი ათასობით ნიგნზე, ჟურნალების სტატიებზე, ციტირების ინდექსებსა და სხვა საკითხავ მასალაზე. თსუ-ის ბიბლიოთეკაში სა-მომავლოდ იგეგმება საკმაოდ მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი საბიბლიოთეკო ბაზის — Wiley-blackwell standard journal collection — შექმნა. აღნიშნული ბაზა მრავალპროფილური და პოლითემატურია და მოიცავს ტექნიკურ, ჰუმანიტარულ, სოციალურ, მედიცინის მეცნიერებათა დარგებში განხორციელებული კვლევების ელექტრონულ რესურსებს. საუნივერსიტეტო საზოგადოების ამოცანაა მსოფლიოს გამორჩეული და ნამყვანი გამომცემლობის Elsevier-ის, ან Thomson Reuters-ის ელექტრონული რესურსების წვდომის უზრუნველყოფაც.



დავით უსუფაშვილმა თსუ-ში „წლის პირველი საჯარო ლექცია“ წაიკითხა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია „ჩვენი სახელმწიფო“. დავით უსუფაშვილმა ლექცია „წლის პირველი საჯარო ლექციის“ ფარგლებში წაიკითხა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, სტუდენტები, პროფესორები, მონაწილე სტუმრები დაესწრნენ. თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „თუ 8 თებერვალი უნივერსიტეტის დაარსების დღეა, 12 თებერვალი საუნივერსიტეტო საქმიანობის დაწყების დღეა. სწორედ ამ დღეს წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტში პირველი ლექცია. ჩვენ აღვადგინეთ ტრადიცია. ამერიიდან, ყოველი წლის 12 თებერვალს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელიც წარმატებული იქნება თავის საქმიანობაში, წაიკითხავს „წლის პირველ საჯარო ლექციას“

თსუ-ში. ამჯერად არჩევანი დავით უსუფაშვილზე გაკეთდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მისი ლექცია ძალიან საინტერესო გამოვიდა. ის შეეხო ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე ყოვლისმომცველ პრობლემებს და მისი გადაჭრის გზებს“. „მიუხედავად იმისა, რომ საჯარო გამოსვლებს კარგა ხანია მივეჩვიე, ასე ალღელებული არასდროს ვყოფილვარ, ჩემს სიტყვებს ასეთი ემოციური დატვირთვა არასოდეს ჰქონია. უნივერსიტეტში ჩემი გამოსვლით გრძელდება ის ტრადიცია, რომელსაც საფუძველი ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა. ეს ძალიან დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. ჩვენი წარსულისა და დღევანდელი გამოშვებარჩევი ლექციის თემა „ჩვენი სახელმწიფო“. ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოება, უნდა ვიყოთ ჩვენი სახელმწიფოს ბატონ-პატრონი. თუკი სადმე სიტყვა „ჩვენ“ უნდა არსებობდეს და არა ამ პარტიის, იმ ჯგუფის და ა.შ. სწორედ ამ დანესებულებში უნდა არსებობდეს.

ჩვენ მოვესწრებით იმას, როდესაც ჩვენი სახელმწიფო გვექნება“, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. საჯარო ლექციის წაიკითხვის შემდეგ თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დააჯილდოვა უნივერსიტეტის მედლით და სიგელით „წლის პირველი საჯარო ლექციის“ ჩატარებისთვის. თსუ-ში „წლის პირველი საჯარო ლექციის“ ჩატარების წესის თანახმად, საჯარო ლექციის გამართვის უფლება ენიჭება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს — მოქმედ აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტის ემერიტუსს, ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, ხელოვნებისა და კულტურის გამოჩენილ წარმომადგენელს. საჯარო ლექცია ტარდება ყოველწლიურად 12 თებერვალს. 1918 წელს, სწორედ 12 თებერვალს (ძველი სტილით 30 იანვარი) წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის პირველი



ლექცია „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში“ (ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში). დავით უსუფაშვილის საჯარო ლექციაზე დამსწრეებს დაურიგ-

დათ თსუ-ის გამომცემლობის მიერ გამოცემული ივანე ჯავახიშვილის პირველი ლექციის ბექდური ვერსია. თავად პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის საჯარო ლექცია „ჩვენი სახელმწიფო“ ბექდური სახით 2016 წლის 12 თებერვლისთვის გამოიცემა.



თსუ-ის მოდერნიზაციის კომისიის სხდომაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წლის დეკემბრიდან მუშაობს მოდერნიზაციის კომისია, რომელიც უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი (2016-20130 წლები) გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელია. მოდერნიზაციის კომისიას ხელმძღვანელობს თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, მოადგილე გახლავთ — ვიცე-რექტორი, პროფესორი იოსებ სალუქვაძე.

მოდერნიზაციის კომისიას ევალება უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის სრულყოფა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, თსუ-ის საერთაშორისო დონეზე ფართომასშტაბიანი ინტეგრირება, უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და საერთაშორისო სტანდარტთან გათანაბრება, რომელიც საფუძვლად დაედება თსუ-ის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიას. რექტორის ბრძანებით, ამავე კომისიას ევალება უნივერსიტეტის შესახებ სპეციალური კანონის პროექტის სამუშაო ვერსიის შემუშავება და წარდგენა თსუ-ის აკადემიური საბჭოსთვის არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივნისისა.

მანია ტორაძე

10 თებერვალს თსუ-ის მოდერნიზაციის კომისიის სხდომა გაიმართა. კომისიის წევრებმა განიხილეს რამდენიმე საკითხი, მათ შორის აკადემიური პერსონალის საკადრო პოლიტიკისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული მონაცემების შესახებ.



სხდომაზე აღინიშნა, რომ კომისიის მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერია. კერძოდ, აკადემიური პერსონალის საკადრო პოლიტიკის სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვისა და სერვისის კომპონენტების საკითხს, რაც, უკვე მიღებულ და დამტკიცებულ სამეცნიერო მუშაობის მინიმალურ სტანდარტებთან ერთად, შექმნის ერთიან ჩარჩოს აკადემიური პერსონალის მიმართ მოთხოვნების შესახებ.

„როდესაც დასრულდება ამ საკითხებზე მუშაობა და დამტკიცდება ყველა მოთხოვნა აკადემიური პერსონალის მიმართ, უკვე დაიწყება ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებზე მუშაობა. 23 თებერვლისთვის ველოდებით ჯგუფის წევრების მიერ გარკვეულ შემოთავაზებებს, ხოლო მარტის შუა რიცხვებში ჩვენს ხედვას წარვუდგენთ შესაბამის საბჭოებს. ამ ეტაპზე წარმოდგენილია პირველი

ნიმუში აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსების წესის შესახებ, რომლის ავტორია პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი. მის მიერ წარმოდგენილ ვარიანტზე ვიმუშავებთ მიმდინარე წლის თებერვლის ბოლო კვირიდან“, — განაცხადა იოსებ სალუქვაძემ. სხდომაზე ასევე ისაუბრეს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სარეიტინგო სისტემებში მოხვედრისთვის აუცილებელი პირობების დაკმაყოფილების შესახებ. აღინიშნა, რომ აქამდე უნივერსიტეტს არ გადაუგზავნია მონაცემები შესაბამისი სააგენტოებისთვის. ამ ეტაპზე უკვე იწყება მუშაობა საჭირო მონაცემების სისტემატიზაციისთვის, რაშიც აქტიურად ჩაებმება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყველა ერთეული, განსაკუთრებით კი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

ნისტრაციის ყველა ერთეული, განსაკუთრებით კი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

2015 წლის თებერვლიდან ასევე იწყება ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სერვისს. გარდა ამისა, იწყება სამუშაოები საქმეთა ელექტრონული წარმოებისთვის, რაშიც საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის რესურსებს გამოიყენებენ.

განსაკუთრებულად აღინიშნა უნივერსიტეტის ვებ-გვერდის გაუმჯობესების აუცილებლობა. ითქვა, რომ ვებ-გვერდი უფრო მობილური უნდა გახდეს, რომ მომხმარებელმა ადვილად მიაკვლიოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია. ამ საკითხზე მოსაზრება გამოთქვა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა ტარიელ ზარანდიამ, რომელმაც აღინიშნა, რომ ვებ-გვერდის ტექნიკური უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ძალეობით სრულიად შესაძლებელია, საჭიროა მხოლოდ ვებ-დინამიკის დაქირავება, რაც უმთავრესი საკითხია. მან ასევე აღინიშნა, რომ დოკუმენტბრუნვისთვის, რაც აუცილებელია საქმის ელექტრონული წარმოებისათვის, საჭიროა ტენდერის გამოცხადება და სპეციალური პროგრამის შესყიდვა.

სხდომაზე ასევე ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტისთვის სპეციალური საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც, იოსებ სალუქვაძის განცხადებით, ჯერ მხოლოდ გაცნობის პროცესშია და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება, რას მოგვცემს ამგვარი სტატუსის მოთხოვნა, შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხი.


ჩემი აზრით...



მარიამ ლორთქიფანიძე,
თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, აკადემიკოსი.

— არ შემიძლია, არ გამოვხემა მათ ბოლო პერიოდში რომელიც სტუდენტების გახმაურებულ მოთხოვნას უნივერსიტეტში დიდი როლგანიზაციის დაწყებასთან დაკავშირებით. მინდა გითხრათ, რომ როდესაც, წლების წინ, უნივერსიტეტში რევოლუციური ცვლილებები დაიწყო, ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო. ამან მხოლოდ დააზარალა უნივერსიტეტი. ბატონი ლადო ძალიან სწორად იქცევა, რომ არავითარი რევოლუციური ცვლილებების გატარებას არ აპირებს და მიყვება მოვლენების თანმიმდევრობას. მას საყვედურობენ, თუ რატომ არიან კვლავ უნივერსიტეტში სააკაპილის მიერ დანიშნული თუ იმ დროს არჩეული თანამშრომლები და რატომ არ ჩამოაშორა ისინი უნივერსიტეტს. მე ვთვლი, რომ ბატონ ლადოს ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან სწორი პოზიცია აქვს. იგი ამბობს, რომ ეს ხალხი არის არჩეული და მათ ქუჩაში არ გაყრის. მოვა არჩევნების დრო და სწორედ ეს არჩევნები გადაწყვეტს ყველაფერს. ვთვლი, რომ ეს საკითხის ყველაზე სწორი გადაწყვეტაა. ვინც დღეს რექტორს უკიჟინებს, მათაც იცინა, რომ ეს ასეა, მაგრამ ეტყობა მეტი არეულობის შეტანა სურთ უნივერსიტეტში და, აქედან გამომდინარე, ქვეყანაშიც.

მინდა გითხრათ, რომ როდესაც, წლების წინ, უნივერსიტეტში რევოლუციური ცვლილებები დაიწყეს, ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო. ამან მხოლოდ დააზარალა უნივერსიტეტი. ბატონი ლადო ძალიან სწორად იქცევა, რომ არავითარი რევოლუციური ცვლილებების გატარებას არ აპირებს და მიყვება მოვლენების თანმიმდევრობას.



მეცნიერებათა აკადემიის მთავარ გამოცემას მაღალი დონის „იმპაქტ-ფაქტორი“ (3.849) მიენიჭა

11 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის პრესკონფერენცია, რომელზეც განიხილეს ქართულ მეცნიერებაში ბოლო სამი წლის (2013-2015) მანძილზე არსებული მდგომარეობა. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის 2014 წლის 9 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განიხილებოდა ისეთი მტკივნეული საკითხი, როგორც მეცნიერების დაფინანსება. კერძოდ კი შეეხებოდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ინსტიტუტების თანამშრომელთა მწირ ანაზღაურებას.



მიმდინარე წლის 6 თებერვალს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს პირველ სხდომაზე განაცხადა, რომ მეცნიერთა ხელფასები საშუალოდ 250 პროცენტით გაიზარდა, ასევე, შემუშავებულია მეცნიერულად დასაბუთებული გრძელვადიანი სამეცნიერო პროგრამები. გარდა ამისა, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერებისა და საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს დახმარებით, მოხდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების გრძელვადიანი — ათწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ 11 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე მადლიერება გამოხატა საქართველოს მთავრობის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, რადგან ამით მეცნიერს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავის სპეციალობაში სერიოზული ნაბიჯები გადადგას და ყოფილი პრობლემებზე ნაკლებად იფიქროს. გიორგი კვესიტაძის თქმით, საქართველოს მთავრობის ეს ნაბიჯი არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც საქართველოში მეცნიერების განვითარებისთვის საჭირო და ამით მეცნიერება უფრო მეტ ახალგაზრდას მოიზიდავს.

გარდა ამისა, პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ მეცნიერებათა აკადემიის მთავარ გამოცემას — ჟურნალ „მოამბეს“ — საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსირების საორგანიზაციო კომიტეტმა მაღალი დონის „იმპაქტ-ფაქტორი“ (3.849) მიანიჭა, რომელიც სამეცნიერო ჟურნალის მაღალ მაჩვენებელს ნიშნავს. ამ ნიშანს სამეცნიერო გამოცემას ანიჭებენ იმის გათვალისწინებით, თუ როგორი მნიშვნელობისაა ჟურნალი, რამდენად საინტერესო და ორიგინალური სამეცნიერო სტატიები და ნაშრომები ქვეყნდება მასში და რამდენად რეგულარულია მისი გამოცემა. ჟურნალ „მოამბის“ რედაქციის მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები შედიან, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატები.

პრესკონფერენციის დასასრულს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ აღინიშნა, რომ, სულ მალე, 2015 წლის აპრილში მეცნიერებათა აკადემია აირჩევს მის ნამდვილ წევრებს — აკადემიკოსებს. გამოცხადებულ 8 ვაკანსიაზე შემოტანილია 38 განაცხადი. აღსანიშნავია, რომ წლეულს



პირველად გამოცხადდა ვაკანსია მეცნიერებათა აკადემიის ტექნოლოგიების სპეციალობაზე და 1 ვაკანსიაზე შემოტანილია 16 მეცნიერის განაცხადი; ეს კი, იმის მანიშნებელია, რომ დაინტერესება თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართ მნიშვნელოვნად დიდია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეს-სამსახური



კოლექტიური მოვლენების ეფექტური აღწერა

გია დვალის კლასიკური და კვანტური მექანიკაზე და საზოგადოების ქცევის თავისებურებებზე

5 თებერვალს, ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასკი პლანკის ინსტიტუტის დირექტორმა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორმა, ფიზიკოსმა გია დვალმა ლექცია ჩაატარა. ლექციის თემა იყო „კოლექტიური მოვლენების ეფექტური აღწერა“.

გია დვალის

თემატიკა და სახელწოდება

ცნობილია ქართველმა მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა ერთერთ მიდგომაზე, კერძოდ, კოლექტიური მოვლენების ეფექტური აღწერაზე, რომელიც ფიზიკოსებისთვის ფუნდამენტურია, თუმცა ამ მიდგომას სხვა სისტემებშიც გააჩნია ანალოგიები. კოლექტიური სისტემები არსებობს ფიზიკაშიც (მაგალითად, მრავალნაწილაკოვანი სისტემები) და ადამიანთა ურთიერთობებშიც. ეფექტური აღწერა, ანალოგიის მეშვეობით, ორივე სისტემაშია შესაძლებელი.

ეფექტური აღწერა, რომელსაც ხანდახან ფიზიკაში ეფექტური ველის თეორიასაც უწოდებენ, გამოიყენება გარკვეული მოვლენის ეფექტურად აღსაწერად. „როგორ ხდება აღწერა? არსებობს გარკვეული ენა, რომელზეც ჩვენ შეგვიძლია რეალობას პარამეტრიზაცია გავუყუდოთ – ანუ არსებობს მოხერხებული ცვლადები, რომლის ენაზეც ჩვენ შეგვიძლია რეალობა აღვწეროთ. ეს არის ამოსავალი დაშვება — რომ რეალობა არის აღწერადი. ჯერჯერობით ამ დაშვებას ჩვენთვის არ უღალატია“, — განაცხადა გია დვალმა.

როგორ უნდა აღვწეროთ ამა თუ იმ სისტემის დინამიკა? ამისთვის დროსა და სივრცეში აუცილებელია იმ ცვლადების შერჩევა, რომლებიც აღწერენ სისტემის დინამიკას. უნივერსალური რეცეპტი იმისა, თუ როგორ მოხდება ეს არჩევა, არ არსებობს. ამა თუ იმ ცვლადს მკვლევარი ირჩევს მისთვის მოსახერხებელი გზით. ეს ასევე დამოკიდებულია მათემატიკურ აპარატზე და სხვა ფაქტორებზეც. ამ ენას შერჩევა სჭირდება — ანუ, რომელია ის მოსახერხებელი ენა, რომლითაც თქვენ სისტემას აღწერთ. მაგალითად, ნიუტონის მექანიკაში სისტემა აღიწერება კოორდინატებისა და იმპულსების (სიჩქარეების) ენაზე. რატომ? იმიტომ, რომ ეს აღწერა განპირობებულია ჩვენი ყოველდღიური ინტუიციით და გამოცდილებით. „მთელი ცხოვრების განმავლობაში რას ვაკეთებდით? ან ვიღაცისგან გავრბოდით, ან ვიღაცას მივსდევდით. ამ დროს ყველაზე მთავარია ვინ სად არის — ანუ ობიექტის კოორდინატები და სიჩქარეები. მექანიკური სისტემებისთვის ეს არის ძალიან კარგი აღწერა, სანამ, რაღაც ბარიერს არ მივუახლოვდებით. ამას იქით ეს აღწერა (ცვლადები) აღარ ვარგა და უნდა შევცვალოთ. ანუ — ფიზიკაში უნივერსალური აღწერა არ არსებობს. მაგალითად, თუ გვინდა აღვწეროთ ბურთის დინამიკა, ამის აღსაწერად ნიუტონის მექანიკა ფანტასტიურია. თუ გავზრდით ბურთის სიჩქარეს, მაშინ თანდათან გადავალთ რეჟიმში, როდესაც ნიუტონის მექანიკა აღარ მუშაობს! ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ნიუტონის მექანიკა არ ვარგა — ის ვარგა



და რაღაც რეჟიმში ყოველთვის ივარგებს, მაგრამ არის რეჟიმი, რომელშიც ნიუტონის მექანიკა აღარ მუშაობს და უნდა გამოვცვალოთ“, — განაცხადა მან.

რას ვაკეთებთ იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს ობიექტი, რომელიც მოძრაობს სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარით ან სინათლის სიჩქარით? გადავდივართ ეინშტეინის ფარდობითობის თეორიის აღწერის ენაზე — რელატივიზმზე. ეს გადასვლა შეიძლება ორგვარად მოხდეს: 1) ის ცვლადები, რაშიც რეალობას აღვწერდით, შევინარჩუნოთ, მაგრამ უბრალოდ შევცვალოთ აღწერა; 2) შევცვალოთ ძველი ცვლადები, რადგან ისინი ამ რეჟიმში აღარ ვარგა. მაგალითად, თუ ბირთვულ (ძლიერ) ურთიერთქმედებას ისეთ ნაწილაკებს შორის, როგორიცაა პროტონი და ნეიტრონი, ვაკვირდებით დიდ მანძილებზე (10⁻¹⁴ სმ —ზე გაცილებით მეტი), აღწერის ცვლადები და სიდიდეები იქნება პროტონი და ნეიტრონი, პი-მეზონი და ა.შ. ანუ — თუ მიკროსკოპის გარჩევისუნარიანობა არის 10⁻¹⁴ სმ —ზე მეტი, მაშინ ეს ნაწილაკები ელემენტარულია, რადგან მათ ქვესტრუქტურას ვერ ვხედავთ. „თუ ექსპერიმენტს ვატარებთ 10⁻¹⁴ სმ —ზე ნაკლებ მანძილებზე, დაინახავთ, რომ ეს ნაწილაკები ცნებაშიც აღარ არსებობს და მათ სულ სხვა თავისუფლების ხარისხები აქვთ, ისეთი, როგორცაა კვარკები და გლუონები. რა მოხდა? იგივე სისტემა, უბრალოდ სხვა მანძილებზე და სხვა ენერგიებზე (მოკლე მანძილები მაღალი ენერგიებია) სულ სხვა თავისუფლების ხარისხებში აღიწერება. ამ შემთხვევაში მოკლე მანძილების თავისუფლების ხარისხები კვარკები და გლუონები, დიდ მანძილებზე — პროტონები, ნეიტრონები და ა.შ. სისტემამ რეჟიმი შეიცვალა — შესაბამისად, შეიცვალა მისი აღწერის ენაც“, — განაცხადა მეცნიერმა.

როგორც გია დვალმა აღნიშნა, იგივე სიტუაცია შეიძლება გვექნდეს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მაგალითად, როდესაც ადამიანების მასას ვუყურებთ „შორიდან“ და არა გვაქვს საშუალება, თითოეული ადამიანის ფსიქოლოგია გამოვარჩიოთ, ასეთ შემთხვევაში აღწერის ენა სულ სხვანაირია — ეს არის ამ ადამიანების მასა. მაგრამ „შედარებით მოკლე მანძილებზე“ ეფექტური აღწერის ენა იცვლება და წინა პლანზე გამოდის ერთი ადამიანის ფსიქოლოგია. თუ დავედით იქამდე, რომ ეს არის ერთი ინდივიდი, იქ უკვე თავისუფლების ხარისხი სულ სხვაა და აღწერის ენაც — სხვა.



„რა არის ეფექტური თეორიის არსი? ეს არის გამოიცილო მოცემულ რეჟიმში რეალობის ყველაზე მომგებიანი პარამეტრიზაცია და იმ პარამეტრებით აღწერო რეალობა. თუ საწყისი პარამეტრები ცუდად აირჩიე, მაგრამ ტექნიკურად ძლიერი ხარ — მიზანს მაინც მიაღწევ, თუმცა — ძალიან რთულად“, — აღნიშნა მან.

როდესაც კომპონენტების რაოდენობა იზრდება, მაშინ სისტემა რთულად აღსაწერია. მაგალითად, ერთი ადამიანის ქცევა შეიძლება გამოიცილო, ორი ადამიანის ქცევა გამოიცილო შედარებით რთულია, და ათის — ძალიან რთული, მაგრამ არის კიდევ უფრო რთული შემთხვევები — როცა ადამიანთა რაოდენობა რაღაც ზღვარს მიაღწევს, თუმცა მათი ქცევის ამოცანაზე შესაძლებელია და ასეთ შემთხვევაში სისტემა ექვემდებარება ეფექტური საშუალოს აღწერას, ანუ სისტემის ქცევა შესაძლოა აღიწეროს საშუალო სიდიდეების ენაზე. აქ მრავალის ქცევა დაიყვანება ერთის ყოველქცევაზე და დანარჩენი ყველაფერი არის გადახრა ამ საშუალოდან, ანუ ფლუქტუაცია.

რამდენად მნიშვნელოვანია ამ საშუალოდან გადახრები? მეცნიერმა მოიყვანა ანალოგია ე.წ. კვანტური ფლუქტუაციებისა. კერძოდ, ფიზიკა იყოფა ორ დიდ ნაწილად: კლასიკური ფიზიკა და კვანტური ფიზიკა. ის ეფუძნება ორ დებულებას: 1) ე.წ. ლოკალური რეალიზმს — როცა სისტემა არსებობს დამკვირვებლის გარეშე; 2) ორი დამკვირვებლის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი ერთმანეთზე გავლენას ვერ მოახდენს სინათლის სიჩქარეზე სწრაფად. კვანტური მექანიკა ამ ყველაფერს ფუნდამენტურად ცვლის. კერძოდ, დაშვება, რომ სისტემის მდგომარეობა არის დამკვირვებლებისგან დამოუკიდებელი, არასწორია, ანუ დამკვირვებელი სისტემას ყოველთვის აშფოთებს. „კვანტური მექანიკის თანახმად, ნებისმიერი ინფორმაცია ენერგია ღირს. თუ გინდა, რომ ინფორმაცია მიიღო, ეს ენერგია უნდა გადაიხადო. ამის გამო იქმნება ფუნდამენტური ჰაიზენბერგის განუზღვრელობის პრინციპი, რომლის თა-

ნახმადაც შეუძლებელია ერთდროულად ზუსტად გავზომოთ მაგალითად, ნაწილაკის კოორდინატი და იმპულსი. ანუ, ზოგადად, კვანტური მექანიკა გვასწავლის, რომ სინამდვილის სხვადასხვა კომპონენტები გარკვეულად წყვილდებიან და ერთდროულად მათი ცოდნა შეუძლებელია (ერთის ცოდნა იწვევს მეორის არცოდნას!), ვინაიდან არსებობს ფუნდამენტალური განუზღვრელობის თანაფარდობა. ეს ყველაფერი ჩვენთვის უჩვეულოა, თუმცა ფიზიკას სწორედ ისეთი რამ აინტერესებს რაც უჩვეულოა, მაგრამ ჭეშმარიტი, თუმცა სხვა გამოსავალი არ არის, უნდა შევეგუოთ ამ უჩვეულობას“, — აღნიშნა გია დვალმა.

კვანტური ფლუქტუაციის ანალოგიად მან მოიყვანა მაგალითი სტაბილური და არასტაბილური ქვეყნებისა: ქვეყანა, რომელიც სტაბილურია, იქ ფლუქტუაცია არ არის მნიშვნელოვანი, ერთი ადამიანის გადახრა მასზე გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ თუ ქვეყანა არის სოციალური აფეთქების ან რევოლუციის ზღვარზე, ასეთ სისტემაში გადახრა — ფლუქტუაცია ძალიან მნიშვნელოვანია და განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს. სისტემები, რომლებიც ფლუქტუაციების მიმართ სენსიტიურია, არის არასტაბილური სისტემები. ამ სისტემებს შეუძლიათ ძალიან ბევრი ინფორმაცია დაიტვირთონ (იგივე შავი ხერხეული არის მაქსიმალური ინფორმაციის მატარებელი. თუ გინდათ, ყუთში ჩადოთ ძალიან ბევრი ინფორმაცია, მაქსიმუმს მიაღწევთ, მაშინ, როცა ის გახდება შავი ხერხეული. შავი ხერხეული არის ზღვარი, იმიტომ, რომ არასტაბილურია).

გია დვალმა ლექციაზე ასევე ისაუბრა ეინშტეინ-პოდოლსკის და შრედინგერის ე.წ. „შავი კატის“ პარადოქსებზე, ახსნა ეს პარადოქსები კვანტური მექანიკის ძირითადი დებულებების საფუძველზე და აჩვენა, რომ თუ ამ დებულებებს სწორად გაავსებთ, სინამდვილეში არავითარ პარადოქსთან არ გვაქვს საქმე.

ლექციის დასასრულს, მეცნიერმა ამომწურავი პასუხები გასცა დამსწრე საზოგადოების კითხვებს.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მისამი საფაკულტეტო სამეცნიერო

კონფერენცია


თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2-6 თებერვალს გაიმართა III სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია, რომელზეც იმუშავა 10-მა სექციამ და წარდგენილი იყო 280 სამეცნიერო მოხსენება.

მეცნიერები დარგების მიხედვით გადანაწილებული იყვნენ მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის სექციებში. ასევე მუშაობდა ინტერდისციპლინარული სექციები მათემატიკასა და კომპიუტერულ მეცნიერებებში და ბიოლოგიასა და ფიზიკაში.

სამეცნიერო მოხსენებები, რომელიც თსუ-ის მეცნიერებმა კონფერენციაზე წარმოადგინეს, თემატიკის მიხედვით თანამედროვე სამეცნიერო ტენდენციებს ეხმიანებოდა. კონფერენციის დახურვის წინ გამართულ პლენარულ სხდომაზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიმართულებების ხელმძღვანელებმა საანგარიშო მოხსენებები წარადგინეს მიმართულებებზე მიმდინარე სამეცნიერო კვლევებისა და ზოგადად არსებული მდგომარეობის შესახებ.

III საფაკულტეტო კონფერენცია შეაჯამა ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ბოჭორიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ კონფერენცია წარმატებული იყო წარმოდგენილი მოხსენებების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ მომავალ საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ერთი წლის შემდეგ გაიმართება, მიმართულებებს საშუალება ექნებათ, დაამატონ სექციები ვინაო სპეციალობების მიხედვით. ასევე დაიგეგმა, რომ მოისმენენ ფაკულტეტზე არსებული ინსტიტუტების საანგარიშო მოხსენებებს მათ მიერ სამეცნიერო კვლევების კუთხით განეული მუშაობის შესახებ.





2015 – მეცნიერების წელი

სამკურნალო ნაშრომების დამზადების ახალი ნაშრომები

„**ს**რავის ეგონოს, რომ უნივერსიტეტში მეცნიერება არ არის. აქ უამრავი თანამედროვე კვლევა კეთდება და მალაღობრივად იმპაქტ-ფაქტორიან საერთაშორისო ჟურნალებში ქვეყნდება, თუმცა ჩვენ მეტი გვინდა, რადგან უნივერსიტეტს და მის სამეცნიერო საზოგადოებას ამის პოტენციალი აქვს“ – განაცხადა რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ცოტა ხნის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე და აქვე აუწყა საზოგადოებას, რომ 2015 წელი უნივერსიტეტში მეცნიერების წლად ცხადდება. ამისთვის დაინერგა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების ახალი წესი და შემუშავდა არა ერთი მექანიზმი, რომლითაც უნდა მოხდეს უნივერსიტეტში მეცნიერებისა და კვლევის კომპონენტის გაძლიერება. ამ ფონზე კიდევ უფრო საინტერესოა, რა შედეგები აქვთ უნივერსიტეტის მეცნიერებს და ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც, ფაქტობრივად, განსაზღვრავენ უნივერსიტეტის სამეცნიერო რეიტინგს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოფიზიკის მიმართულების პროფესორი თამაზ მძინარიშვილი ერთ-ერთია, ვინც უკვე რამდენიმე ათეული წელია სანდო ავტორია მალაღობრივად იმპაქტ-ფაქტორიან სამეცნიერო ჟურნალებში. არ დაუთვლია, მაგრამ, როგორც ვარაუდობს, გამოქვეყნებული 100 სტატიიდან დაახლოებით მესამედი მალაღობრივად იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებშია დაბეჭდილი. ახლახან, 2015 წელს, ჟურნალში „Journal of Liposomes research“ (2015) 25, №, 20-31,) გამოქვეყნდა გერმანულ მეცნიერებთან ერთობლივი თანაავტორობით ბოლო სტატია, რომელიც ეხება ისეთი ნაწილაკების კვლევებს, რომლის სტრუქტურაშიც ენკაპსულირებულია (ინკორპორირებულია) ნაწილაკები. აღნიშნულ ნაშრომში დადგინდა ასეთი ნაწილაკების სტაბილობა გარე ფაქტორების მიმართ, რაც არის უმნიშვნელოვანესი თვისება ასეთი სტრუქტურის ნაწილაკების პრაქტიკაში გამოყენებისთვის.



თამაზ მძინარიშვილი

— ბატონო თამაზ, როდის დაიწყო თქვენი ურთიერთობა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებთან?

— ეს დაიწყო, ფაქტობრივად, გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან, როცა დისერტაციის დასაცავად ვემზადებოდი და ასეთი ჟურნალები გამოქვეყნების გარეშე დისერტაციის დაცვა ვერ მოხდებოდა. აქვე გეტყვით, რომ საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი 1990 წელს, ხოლო სადოქტორო — 1999 წელს.

უნივერსიტეტის ბიოფიზიკის სპეციალიზაციის დამთავრებისთანავე, 1974 წელს დაიწყო მუშაობა ფიზიკის ინსტიტუტში – ბიოფიზიკის განყოფილებაში. მაშინ მას მაკრომოლეკულებისა და ბიოპოლიმერების ფიზიკის განყოფილება ერქვა. ფიზიკის ინსტიტუტში ბატონი ევგენი კიზირია იყო ჩემი პირველი სამეცნიერო პედაგოგი, რომლის მეთვალყურეობითაც ვისწავლე არა მხოლოდ ექსპერიმენტულ დანადგარებზე მუშაობა, არამედ, ახალი უნიკალური ხელსაწყოების დამზადებაც. არასდროს დამავიწყდება ჩვენ მიერ ერთობლივად დამზადებული ე.წ. დროითი სკანირების რეჟიმში მომუშავე მიკროსკოპიზმების დანადგარი, რომელიც დღესაც უნიკალურია თავისი თვისებებით და გაუგებარია, რატომ არის „მიმალული“ და რატომ არ ხდება სათანადოდ მისი გამოყენება. ექსპერიმენტული ბიოფიზიკა ძალიან ძვირადღირებული დარგია, რადგანაც საჭირო ხელსაწყოები ძალიან ძვირი ღირს. არადა, თუ სურვილი გაქვთ თქვენი ნაშრომი დაიბეჭდოს მალაღობრივად იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, ექსპერიმენტები უნდა ჩატარდეს შესაბამის მალაღობრივ სხეულსა და ნაწილაკებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ჟურნალებში სტატია არ დაიბეჭდება. ჩემი უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ საკუთარი ხელით (და ზოგჯერ საკუთარი სახსრებით) ვქმნიდი ექსპერიმენტებისთვის საჭირო ხელსაწყოებს. გარდა მიკროსკოპიზმებისა, რომელიც გამოიყენება ნუკლეინის მჟავების, ბაქტერიოფაგების კვლევისას, ასევე შევქმენი ტურბოდიმეტრი – რომელიც ბაქტერიების გამრავლების პროცესს უწყვეტ დროით რეჟიმში სწავლობს. ნახსენებები დანადგარი საყურადღებოა იმით, რომ შეგიძლია დავადგინოთ, თუ რა გავლენას ახდენს ბაქტერიებზე სხვადასხვა ტიპის ნაწილაკები ან გარემოებები (რაც გამოქვეყნებულია სტატიებშიც). ისევე, როგორც უფანგავი ლითონისგან დავამზადე ფერმენტორი, ანუ ბიოლოგიური რეაქტორი, რომელზეც შესაძლებელია ბაქტერიების ან ბაქტერიოფაგების დიდი რაოდენობით მიღება. ეს დანადგარი საჭიროა, რათა გვერდისა და საშუალებები, უზრუნველყოფილი ვიყოთ ძვირადღირებული საკვების მასალებით (ბაქტერიოფაგებით, დნმ-ით და სხვა).

1985 წელს დაიწყო მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაშინ ბიოფიზიკის განყოფილებას ერქვა მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა და მისი პირველი გამგე და ჩემი მასწავლებელი იყო ან გარდაცვლილი პროფესორი გიორგი მრეველიშვილი. მისი დახმარებით უნივერსიტეტში მოვანერგე ბიოფიზიკის ლაბორატორია, სადაც აღიზარდა მრავალი მეცნიერებათა დოქტორი, მათ შორის ბევრი ცნობილი მეცნიერია. მათი უმეტესობა ამჟამადც წარმატებით

მოღვაწეობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში. ამ ლაბორატორიაში შესრულდა მრავალი საინტერესო ნაშრომი, რომლებიც დაიბეჭდა ჯერ საბჭოთა პერიოდის მალაღობრივად იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში (რომლებიც ითარგმნებოდა უცხო ენაზე), ხოლო მოგვიანებით, ჩვენი ნაშრომები გამოქვეყნდა დასავლეთის ქვეყნებში გამოშვებულ მალაღობრივ რეიტინგის მქონე (იმპაქტ-ფაქტორიან) სამეცნიერო ჟურნალებში.

— რა თემებს შეეხებოდა სამეცნიერო სტატიები?

— ბოლო პერიოდში, რომელიც იწყება 2000 წლიდან, მუშაობა დაიწყო რამდენიმე მიმართულებით, რადგან სტუდენტების ინტერესები იყო მრავალფეროვანი და არ მინდოდა ისინი შეზღუდული ყოფილიყვნენ თავიანთ არჩევანში. ამჟამადაც ჩვენს კათედრაზე წარმოებს ისეთი კვლევები, რომლებიც თავისი შინაარსით და მნიშვნელობით შეიძლება დაიბეჭდოს დასავლეთის მალაღობრივად იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში. გამოვყოფდი ისეთ მიმართულებებს როგორებიცაა: ცილების და დნმ-ის თერმოდინამიკური, სპექტროფოტომეტრიული და ჰიდროდინამიკური კვლევები; ბაქტერიოფაგების ბიოფიზიკური კვლევა, რითაც ხაზი გვინდა გაუსვათ, რომ ამ კვლევებით საქართველო ძალიან კარგადაა წარმოდგენილი საერთაშორისო ასპარეზზე (გვაქვს მრავალი ერთობლივი პუბლიკაცია ბაქტერიოფაგების, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან ერთად); საინტერესოა კვლევები, რომელიც ეხება ბაქტერიების გამრავლების პროცესებს, ვინაიდან შეგიძლია დავადგინოთ თუ რა გავლენას ახდენს გარე პირობები და არსებული ანტიმიკრობული ნაწილაკები ბაქტერიაზე. ამ მიმართულებით ბოლო დროს გამოქვეყნდა ორი მნიშვნელოვანი სტატია ისეთ მალაღობრივად იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, როგორცაა „Cell Biochemistry and Biophysics“ (2013) 66:759-764 და „Current Microbiology“ (2014) 69 6:858-865;

კათედრაზე მიმდინარეობს სხვა სახის კვლევებიც, მაგალითად, კვლევები რომელიც დაკავშირებულია ადამიანის კანის დავადებებთან.

უარესად მნიშვნელოვანია წამლის გადამტანი ნაწილაკების ბიოფიზიკური კვლევა, რაც, ჩემი აზრით, საქართველოს თანამედროვე კვლევების წარმომავალ ქვეყანათა რიგებში აყენებს. ამ ტიპის კვლევების უნივერსიტეტში წარმოება შესაძლებელი გახდა გერმანიის ზარლანდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რომელიც თითქმის 25 წელია გრძელდება. ამ საშუალოს დანებისთანავე ჩამოყალიბდა კოლაბორაცია გერმანიის ზარლანდის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიურ განყოფილებასთან, რომლებიც მუშაობდნენ ნაწილაკებზე. ჩვენი თანამშრომლის, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორის მარიამ ხვედელიძის ზემოთ ნახსენებ განყოფილებაში მრავალჯერადი ვიზიტების დროს, მოხდა ამ ტექნოლოგიის ათვისება ისეთ დონეზე, რომ ბოლო პერიოდში თვითონ გერმანულ მხარე ყველაზე მეტად ენდობა ჩვენ მიერ მომზადებულ ნაწილაკებს — მაინაა, რომ იგი არის ყველაზე ეფექტური და პროგნოზირებადი ნაწილაკები. ეს ურთიერთთანამშრომლობა დღესაც გრძელდება და ამჟამადაც ჩვენს ლაბორატორიაში მიმდინარეობს კვლევები

გერმანული მხარის მიერ გამოგზავნილ ნაწილაკებზე. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ გერმანულ მხარეს გააჩნია მალაღობრივი ლაბორატორიები, თუმცა ამ კვლევებში საკმაოდ დიდი და ღირსეული ადგილი უკავია ჩვენს უნივერსიტეტსაც, რომელზედაც არის დამოკიდებული ნაწილაკების სტაბილობის განსაზღვრა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ ნაწილაკების გამოყენება მოხდეს პრაქტიკული თვალსაზრისით. გერმანული მხარე კი ასეთი კვლევებით მეტად დაინტერესებულია.

ბოლო კვლევები, რომელიც ეხება ჩვენ მიერ მომზადებულ ნაწილაკების ბიოფიზიკური კუთხით დახასიათებას (და აღნიშნულ შრომაში ჩართული იყო გერმანული მხარეც), დაიბეჭდა ამ წელს სტატიის სახით საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალ „Journal of Liposomes reasearch“ (25,1: 20-31, 2015)-ში.

— ქართული მხრიდან კიდევ ვინ არის ჩართული ამ კვლევაში და რას შეეხება იგი?

— როგორც აღვნიშნე, ამ კვლევაში ჩართული არის ჩვენი თანამშრომელი — ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი მარიამ ხვედელიძე (ფაკულტეტთან არსებული სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის ინსტიტუტის წამლის გადამტანი ნაწილაკების განყოფილების გამგე) და ასევე მინდა აღვნიშნო ჩვენი დოქტორანტი ეკა მყილაძე, ისევე, როგორც სხვა ჩვენი დოქტორანტები.

რას შეეხება ეს კვლევა? ეს კვლევა შეეხება ნაწილაკების (დაახლოებით 200 ნანომეტრი დიამეტრის) ნაწილაკებს. გასაგებია, რომ ნაწილაკები, რომელიც ადამიანის სისხლში შეჰყავთ, უნდა იყოს ადამიანისთვის აბსოლუტურად უსაფრთხო. ამიტომაც ჩვენ კვლევაში ვიყენებთ დიპალმიტოლ – ფოსფატიდილ-ქოლინის (DPPC) და დიპალმიტოლფოსფატირიმჟავას (DPPA) ლიპოსომებს, რომლის შემადგენლობაშიც არიან ისეთი მოლეკულები, რომელიც თვითონ ადამიანის უჯრედების მემბრანებშია – შესაბამისად, ისინი არ არიან ორგანიზმისთვის საზიანო.

ლიპოსომები წარმოადგენენ ბიოშეთანხმად წამლის გადამტან ნაწილაკებს, ვეზიკულებს, რომლებიც შეუძლიათ მათში მოთავსებული ნაწილაკების დაცვა სხვადასხვა გარეფაქტორების ზემოქმედებისგან. ამ თვისების გამო დიდია ინტერესი ასეთი ნაწილაკების გამოყენების კვლევისას, როგორც ახალი თვისების წამლის ეფექტური საშუალებისა. გარდა იმისა, რომ ლიპოსომები ნეგატიურ რეაქციებს არ იწვევენ ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას, მათ გააჩნიათ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი თვისებები – ეს არის მათი უნივერსალობა. ლიპიდებიდან ლიპოსომების მომზადების სხვადასხვა პროტოკოლების გამოყენება, შესაძლებელს ხდის შევცვალოთ მათი ფიზიკო-ქიმიური თვისებები (მათი ზომა, ლამობის რაოდენობა, ზედაპირული მუხტის სიდიდე, შიდა წყლიანი მოცულობა და სხვა), რაც შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ჰიდროფობული (წყლის არამოყვარული), ასევე ჰიდროფილური (წყლის მოყვარული) ნაწილაკების ლიპოსომების სტრუქტურაში ჩასმისათვის. მესამე უპირატესობა ისაა, რომ მათი დეგრადაცია იმავ გზებით ხდება, რა

გზებითაც წარმოებს ბიოლოგიური მემბრანების დეგრადაცია. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ უსაფრთხო საშუალებას წამლის გადასატანად, რითაც მათ მოიპოვეს ფართო გამოყენება ბიოსამედიცინო სფეროში.

ლიპოსომების სხვადასხვა ფიზიკო-ქიმიურ თვისებებს შორის, უმნიშვნელოვანესია მათი თერმოსტაბილობა. ლიპოსომები წარმატებით რომ გამოიყენოთ წამლის გადამტანად, აუცილებელია, გავითვალისწინოთ მათი თერმოსტაბილობა და ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ თერმოდინამიკურ პარამეტრებზე. ლიპოსომებიდან წამლის გამოთავისუფლების პროცესის კონტროლისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ლიპოსომების თერმოდინამიკური პარამეტრებისა და ქვეყნის ცვლილებების გაგება. ერთ-ერთი მათგანია ფაზური გადასვლის ტემპერატურის კონტროლი. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დამოკიდებულია: ლიპოსომების ქიმიურ შემადგენლობაზე, ცხიმოვანი მჟავების ნაჯერობაზე, ლიპიდების ჰიდროფობურობის კუთხით სიგრძეზე, გარემომცველი არის მჟავიანობაზე (pH), მარილების რაოდენობაზე (იონურ ძალებზე) და სხვა.

ამჟამად ჩვენს კათედრაზე მიმდინარეობს მნიშვნელოვანი კვლევები, რომლის მიზანია წამალშემცველი ლიპოსომების დამზადება ჩვენ მიერ შემუშავებული ახალი ტექნოლოგიით. ეს ტექნოლოგია საშუალებას მოგვცემს სააფთიაქო ქსელში არსებული წამლები მოვათავსოთ სპეციალური თვისების მქონე ნაწილაკებში და ასეთნაირად შეფუთული წამლები, მკურნალობისთვის გახდება გაცილებით ეფექტური, ვიდრე ამჟამად არსებული წამლები.

ნაწილაკებზე ჩატარებულმა ბიოფიზიკურმა კვლევებმა მოგვცა საშუალება, შევქმენა ჩვენი, საკუთარი ახალი ტექნოლოგია, კერძოდ, დავადგინეთ ის დეტალები, რომლითაც ხასიათდება წამლების ლიპოსომში ჩასმის პროცესი. ჩვენი ასეთი მიდგომა, არის განსხვავებული აქამდე არსებული წამლის ნაწილაკების შექმნის ტექნოლოგიისგან. კერძოდ, მსოფლიოში კარგად ცნობილია ორი მეთოდიური მიდგომა, რომლის შემთავითაც შესაძლებელია წამლის მოთავსება ლიპოსომებში, ესენი არიან ე.წ. პასიური მეთოდი, როდესაც ვეზიკულის ევაპორაციული მეთოდით მომზადების პროცესში ხდება საჭირო ნივთიერების შერევა და მიიღება ლიპოსომები, რომლის სტრუქტურაშიც იქნება ინკორპორირებული ეს ნივთიერება. თუმცა არსებობს ე.წ. აქტიური მეთოდიც, როდესაც საჭირო ნივთიერება წარმოქმნის კომპლექსს მზა ლიპოსომების ვეზიკულასთან, რომლის დროსაც ეს ნივთიერება არ არის ინკორპორირებული ვეზიკულის სტრუქტურაში და ადსორბირებულია ლიპოსომის ზედაპირზე (მაგალითად, ნივთიერების და ლიპოსომების ზედაპირის ელექტროსტატიკური პოტენციალის მეშვეობით).

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ახალი მეთოდის მიხედვით, ეს პროცედურა მნიშვნელოვნად არის გამარტივებული, კერძოდ, აღარ არის საჭირო ლიპიდების ორგანულ გამსხნელში გახსნა და შემდეგ მისი ევაპორაცია. ჩვენი ტექნოლოგია არის გაცილებით მარტივი, ვინაიდან, იგი მოიცავს ფოსფოლიპიდებისა (მაგალითად, DPPC ან PPA) და წამლის ნარევის წყალში შერევა, ხდება ნარევის თერმული დამუშავება გარკვეულ ტემპერატურაზე (<100 გრადუსი), პარალელური სუსპენზიის მექანიკური ხვლეველი და ამ პროცესების ბოლოს მიიღება ლიპოსომები, რომლის საბოლოო პროცედურაა ექსტრუდირის გამოყენება, რათა მივიღოთ სასურველი ზომის და ფორმის ვეზიკულები, რომლის სტრუქტურაშიც მოთავსებულია ჩვენთვის სასურველი წამალი. აღნიშნული ტექნოლოგიის უპირატესობა, გარდა მისი სიმარტივისა, მდგომარეობს იმაში, რომ ეს ტექნოლოგია არის გაცილებით სწრაფი და იაფი, აქამდე არსებული ტექნოლოგიასთან შედარებით, რაც ახალი თაობის წამლების დამზადებისთვის მეტად მიმზიდველია.

ესაუბრა
მაია ტორაძე



იუბილარი უნივერსიტეტი

„97წელი ერთი ადამიანის სიცოცხლისთვის საკმაოდ დიდია, მაგრამ უნივერსიტეტისთვის არც ისე ბევრია. ჩვენი უნივერსიტეტი 97 წლის არის, თუმცა, თუ გავიხსენებთ ქართველი ერის ისტორიულ მისწრაფებას ცოდნის დაუფლებისაკენ და იმ დიდ ტრადიციებს, რომელიც ვერ კიდევ XII საუკუნიდან მოყოლებული დაიწყო გელათის და იყალთოს აკადემიების შექმნით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი უფრო ასაკოვანია. უნივერსიტეტი წარმატებით ართმევს თავს იმ ამოცანებს, რომლებიც დადგმა წინაშეა და დავცისახეს. დღეს ჩვენ დიდი გამოწვევების წინაშე ვდგავართ და იმედია, სულ მალე, ევროპული საუნივერსიტეტო სივრცის ნაწილი გავხდებით, ამიტომ მზად უნდა ვიყო შესაბამისი ნაბიჯების გადასადგმელად“, — ასე მიმართა უნივერსიტეტის დაარსების დღეს, 8 თებერვალს, თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ პირველი კორპუსის შენობაში შეკრებილ საზოგადოებას.

97 წლის იუბილე იმითაც იყო გამორჩეული, რომ სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ უნივერსიტეტი „ახალგაზრდა თაობაში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და მათში ეროვნული სულისკვეთების განმტკიცებისთვის, ღრმა მეცნიერული აზროვნების დამკვიდრებისა და ზოგადად, ქვეყნის წინსვლის შეტანის უდიდესი წვლილისათვის“ — საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა. მისი ტარების უფლება მხოლოდ მოქმედ რექტორს აქვს.

საუნივერსიტეტო საზოგადოებას იუბილე მიულოცა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, რომელმაც ვრცლად ისაუბრა იმ პერიპეტეებზე, რაც კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსებას მოჰყვა: „ბევრი ბრძოლის გადატანა მოუხდა უნივერსიტეტს, ბევრი დარბევაც განიცადა, ივანე ჯავახიშვილიც კი გააძევეს უნივერსიტეტიდან, მაგრამ შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ იგი კვლავ დაუბრუნდა თავის დაარსებულ სასწავლებელს.“

უნივერსიტეტი ბევრჯერ იდგა განსაცდელის წინ, მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებდით შეგვენარჩუნებინა ის სულისკვეთება, რაც მის დამფუძნებლებს ჰქონდათ ჩაიჭირებული. უნივერსიტეტმა უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის განვითარებაზე, მეცნიერების ყველა დარგს აქ ჩაეყარა საფუძველი. უკანასკნელ ცხრა წელიწადში კი უნივერსიტეტმა განიცადა დიდი დარბევა — საუკეთესო პოტენციალს გააძევეს, მაგრამ, ახლა, ჩემი აზრით, უნივერსიტეტი გამოდის ამ მდგომარეობიდან და იმედია, მოახერხებს თავისი ძველი ავტორიტეტის აღდგენას. ამისთვის, მინდა, ავლოება გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორს ლადო პაპავას, რომელიც ყველაფერს აკეთებს უნივერსიტეტის ავტორიტეტის აღსადგენად“, — განაცხადა მარიამ ლორთქიფანიძემ.

დამსწრე საზოგადოებას მიმართა უნივერსიტეტის კიდევ ერთმა უზუცესმა წევრმა რისმაგ გორდენიანმა. „მთელი ცხოვრება ამ უნივერსიტეტში გავატარე, ამ ხნის განმავლობაში უამრავი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. გავიდა დრო და ოცნებაც ასრულდა — ჩვენი ქვეყანა გახდა დამოუკიდებელი. ბევრი რამ შეიცვალა, დაიმსხვრა კერპები, მაგრამ გაუხსნარი დარჩა ყველა ქართველისთვის დიდი დღესასწაული — უნივერსიტეტის იუბილე! მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ლადო პაპავას, რომ იგი ხელს უწყობს უნივერსიტეტში მეცნიერების განვითარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.“

საბჭოთა კავშირის დროს თსუ საუკეთესო უნივერსიტეტების ხუთეულში შედიოდა. დღეს ვითარება შეიცვალა, რადგან ჩვენს წინაშე ახალი გამოწვევებია. ჩვენ უკვე მსოფლიო განზომილებებზე ვსაუბრობთ. უნივერსიტეტში ხელი უნდა შეეწყოს ქართული მეცნიერების განვითარებას. იმედი მაქვს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გვეყოლება ახალგაზრდა ქართულენოვანი მეცნიერები, რომელთაც ამავე დროს ექნებათ დიდი ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში“, — განაცხადა რისმაგ გორდენიანმა.

ალსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი უდიდესია საქართველოს მასშტაბით. დღესთვის თსუ-ის 7 ფაკულტეტზე 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტში 200-ზე მეტ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად მოკლე და გრძელვადიანი სასერტიფიკა-

ციო პროგრამები ხორციელდება. უცხოეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე კი ნებისმიერ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს — მონაწილეობა მიიღოს გაცვლით და საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში და მოიპოვოს ორმაგი აკადემიური ხარისხი. როგორც ლადო პაპავამ საიუბილეო სხდომაზე განაცხადა, ნელს უნივერსიტეტში სხვა სიახლეებიც იგეგმება: შეიქმნება ახალი საინჟინრო სკოლა, ამასთან დაკავშირებით, ათასწლეულის გამოწვევის პროგრამით, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმდა მემორანდუმი, რის საფუძველზეც საქართველოს ტექნიკურ და ილიას უნივერსიტეტებთან ერთად შეიქმნება საინჟინრო სკოლა.

ლადო პაპავამ ასევე ყურადღება გაამახვილა ქართველოლოგიური მეცნიერების მხარდაჭერასა და განვითარების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო მომავალშიც იქნება მსოფლიოს ქართველოლოგიის „მექა“. „ჩვენ ვამაყობთ, რომ ქართველოლოგიაში დაწესებული გვაქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია, რომელიც ყოველ ორ წელიწადში მიენიჭება უცხოელ ქართველოლოგს. ჩვენ ვზრუნავთ, უნივერსიტეტი ისეთივე წარმატებული იყოს ყველა მიმართულებით, როგორც ეს თავიდანვე იყო ჩაფიქრებული“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

საიუბილეო ღონისძიებებზე ბევრი თბილი და საქებარი სიტყვა ითქვა უნივერსიტეტის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 97 წლის იუბილეს სტუდენტებიც დაესწრნენ, რომლებმაც თავიანთი პოზიცია თამამად დააფიქსირეს: „უნივერსიტეტი ის სივრცეა, სადაც სტუდენტები და პროფესორა ურთიერთობს და აქ უნდა ვქმნიდეთ იმგვარ გარემოს, რომელიც ცოდნისა და ახალი პროცესების განვითარების წინაპირობა იქნება. ჩემი აზრით, უნივერსიტეტს სრულიად სხვა დატვირთვა უნდა ჰქონდეს, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს დაკარგულია. მე, როგორც სტუდენტი, სხვა მოლოდინი მქონდა. ჩვენი აზრით, ყველამ უნდა გავიაზროთ პასუხისმგებლობა, რათა მდინარეში პროცესები ისე განვითარდეს, რომ უნივერსიტეტში რეალურად შევიძინოთ ცოდნა.“

ჩვენი სურვილი იქნება, ერთობლივად შევქმნათ და დავიწყოთ მოძრაობა ახლის შექმნისკენ, საითაც არის უნივერსიტეტის მომავალი“, — განაცხადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი სოფრომაძემ.

თავისი პოზიცია გამოხატა ლევან ლორთქიფანიძემაც: „ყველამ კარგად ვიცით, როგორ და რა პირობებში დააარსეს უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამაზრებებმა, რომლებსაც დიდი პერსპექტივა და შანსი ჰქონდათ, რომ თავიანთი

მოღვაწეობა მსოფლიოს ნამყვან უნივერსიტეტებში გაეგრძელებინათ. ამ ადამიანებმა პირადი კარიერა მეორე პლანზე გადაინიეს, დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში და შეძლეს საქართველოში პირველი ქართული სამეცნიერო სასწავლებლის დაარსება. მინდა, ამ მაღალი ტრიბუნიდან მოეუწოდო საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერებს, დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას და მხარში დაუდგნენ თავიანთ უნივერსიტეტს. ასევე მინდა, მივმართო ხელისუფლებას: უნივერსიტეტს დღეს უმცირესი ფინანსური შესაძლებლობები აქვს, რომლის გარეშეც ეროვნული მეცნიერება ვერ განვითარდება“, — განაცხადა ლევან ლორთქიფანიძემ.

საიუბილეო ღონისძიებებზე უნივერსიტეტის წინაშე განუვლი დავანლისთვის დაჯილდოვდნენ თსუ-ის ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდნენ: თსუ-ის მიხეილ ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის პროფესორი თამაზ ჭელიძე, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი სიმონ გელაშვილი და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ეთერ ხარაიშვილი.

საიუბილეო ღონისძიებებზე უნივერსიტეტის მედლები გადაეცათ: თსუ-ის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს სულხან ნანობაშვილს; თსუ-ის მაღალი ენერჯების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიის „ელემენტარული ნაწილაკების დედექტივების მეთოდები“ ხელმძღვანელს, მთავარ მეცნიერ-მკვლევარს, პროფესორ იური თევზაძეს; თსუ-ის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს თენგივ მუხარგაიას; თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების გამგეს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს კობა ხარაძეს; თსუ-ის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიის გამგეს, მთავარ მეცნიერ თანამშრომელს ნათელა ხეცურიანს; რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს გიგლა წურნუმიას; ალექსანდრე თვალჭრელიძის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის სილიკატებისა და



საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების გამგეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს ელენე შაფაქიძეს; თსუ-ის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტის ციტოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზურაბ ცაგარელს; ინსტიტუტის ტრანსლაციური ბიო-მედიცინის დეპარტამენტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ ჭიჭინაძეს; თსუ-ის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს ნოდარ ბერიკაშვილს; თსუ-ის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, იურიდიული მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ოთარ გამყრელიძეს; თსუ-ის მიხეილ ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორის ხელმძღვანელს, პროფესორ ავთანდილ კორძაძეს; თსუ-ის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის პეტროლოგიის, ვულკანოლოგიის, მინერალოგიისა და ლითოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორს დავით შენგელიას; თსუ-ის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, ღვანლმოსილ რუსთველოლოგს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს მარიამ კარბელაშვილს; თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებს: ირინე ასათიანს და თამარ ბეროზაშვილს; თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, პროფესორ თინათინ ჩხეიძეს; თსუ-ის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოსა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს გიორგი ქავთარაძეს; თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს მალხაზ მაცაბერიძეს; თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს პაატა ცხადაიას; იურიდიული ფაკულტეტის პროფესორს თევდორე ნინიძეს; თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს კარლო აქიმიძეს; ასოცირებულ პროფესორს ომარ ლლონტს (გარდაცვალების შემდეგ); თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მონვეულ პროფესორებს: დალი ფარჯანაძეს და რევაზ ქვარცხავას; თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს გივი კაციტაძეს; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს მირიან ტუხაშვილს.

იუბილეს ფარგლებში თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, სტუდენტებმა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა თსუ-ის პანთეონში ყვავილებით შემკვეს უნივერსიტეტის დამფუძნებლების საფლავები და მთანმინდის პანთეონში ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს.

მომზადა შურისხა ბაიოვილიამ



გურამ ნაჭყებია პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებებით მიმართავს



ნათო მოგლაძე

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორი გურამ ნაჭყებია საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებებით მიმართავს. სამეცნიერო ბროშურა „ზოგიერთი საკანონმდებლო წინადადებების მეთოდოლოგიური დასაბუთების პრობლემები“ უკვე დაიბეჭდა და პარლამენტის წევრებს გადაეგზავნათ. აღნიშნულ გამოცემაში შესულია ამონარიდები გურამ ნაჭყებიას მონოგრაფიიდან და ეხება სისხლის სამართლის რამდენიმე მნიშვნელოვან ტერმინოლოგიურ და მეთოდოლოგიურ პრობლემას. კონკრეტულად კი განხილულია სამი საკითხი — „იურიდიული აზროვნების წესი და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი“, „სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა“, „შეიძლება თუ არა სისხლის სამართალი და სასჯელის აღსრულების სამართალი ადამიანის პიროვნებაში პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეის გარეშე?“

ავტორი განმარტავს, რომ ისეთი ტრადიციული ტერმინები, როგორცაა — „დამნაშავე“ თუ „უდანაშაულო“ — პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ გამოხატავს და ამიტომ იურიდიული მნიშვნელობით მათი გამოყენება დაუშვებელია. ბროშურაში გურამ ნაჭყებია ასევე აღნიშნავს, რომ იურიდიული აზროვნების წესს არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის დებულება,

რომლის თანახმადაც, სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი არის დანაშაული, მაშინ როდესაც პასუხისმგებლობის საფუძველად სუბიექტის ბრალი უნდა ჩაითვალოს.

„ვფიქრობთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „ბრალეული, თავისი პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, ჯერ კიდევ არაბრალეულად ივარაუდება, ვიდრე სასამართლო ამ ვარაუდს, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში მისივე ბრალის შესახებ, კატეგორიული დასკვნით არ გააბათილებს და ვიდრე ბრალდებულის ეს ბრალი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ფორმით არ იქნება დადასტურებული“.

ვფიქრობთ იმასაც, რომ ეს დებულება გადაიტანონ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილად და, ამასთან, შეიცვალოს ამავე მუხლის სახელწოდება. ეს მუხლი დასათაურებულია, როგორც „უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმცია“. უფრო მართებულია მისი დასათაურება, როგორც „არაბრალეულობისა და თავისუფლების პრეზუმცია“, — აღნიშნავს გურამ ნაჭყებია.

აქვეა მოცემული კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებების შეთავაზებები, რომლებიც სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკას უკავშირდება: 1. „თუ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, არამედ სუბიექტის ბრალი, მაშინ გამამტყუნებელი განაჩენის სარეზო-

ლუციო ნაწილის ტრადიციული ფორმულა — „ბრალდებული ცნობილ იქნეს დამნაშავედ“ — უნდა შეიცვალოს ფორმულით — „ბრალდებული ცნობილ იქნეს ბრალეულად“.

2. უნდა შეიცვალოს განაჩენის ტრადიციული ფორმულაც: „ბრალდებული ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს“ შემდეგი ფორმულით: „ბრალდებული ცნობილ იქნეს არაბრალეულად იმ ბრალდებაში, რომელიც მას გამოძიებამ წარუდგინა. მაშასადამე ბრალდებულს მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია და გამართლდეს“.

პროფესორი გურამ ნაჭყებია კანონმდებლებს ასევე სთავაზობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას (რაც მსჯავრდებულის პოზიტიურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს): „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულზე ზემოქმედებით, მასში პასუხისმგებლობის გრძობის გამოვლინებით, ნაწილობრივ, აღზრდიანად, იგი ახალ პირობებში მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ამიერიდან ეკიდებოდეს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის სულიერად მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს სასჯელის აღსრულების კანონმდებლობით“.

გურამ ნაჭყებია ბროშურა „ზოგიერთი საკანონმდებლო წინადადებების მეთოდოლოგიური დასაბუთების პრობლემები“ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტმა და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პრო-



ცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივი გამოცემაა.

„ამაყი ვარ, რომ ამ გამოცემას დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის სახელიც ამწვენებს. საამაყოა, რომ ასეთი რანგის მეცნიერი ნაშრომს ჩვენი სახელით გამოცემს. დავით ბატონიშვილის ინსტიტუტი მარტში გვემაცხელოს ღონისძიებას, სადაც ინსტიტუტის 3 წლის საქმიანობას შევაჯამებთ, ახალ გამოცემებს წარმოვადგინებთ და გამოვავლენთ წლის საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომის ავტორს, რომელსაც სპეციალური ჯილდო გადაეცემა“, — განაცხადა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა დიმიტრი გეგენავამ.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორის გურამ ნაჭყებიას სამეცნიერო ბროშურის პრეზენტაცია უკვე გაიმართა.

ესტატი ხმალაძის სტიპენდიატი ოთარ სახელაშვილი გახდა

ნათო მოგლაძე

ახალი ზელანდიის დედაქალაქის, ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის მათემატიკის და სტატისტიკის პროფესორის ესტატი ხმალაძის სახელობის 2015 წლის სტიპენდიატის ვინაობა ცნობილია. საკონკურსო კომისიამ თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული ფიზიკის მიმართულების მაგისტრანტი ოთარ სახელაშვილი შეარჩია. სტუდენტის გამარჯვება იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში 3 სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებამ განაპირობა, რაც ქართული უმაღლესი განათლების სისტემაში საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა.

„ამ სტიპენდიის მიღება ჩემთვის დიდი პატივი და სტიმულია, რათა სამეცნიერო საქმიანობა მომავალშიც განვაგრძო. რაც შეეხება ჩემს სტატუსს, ისინი თეორიული ფიზიკის საკითხებს ეხება. ძალიან კარგი ხელმძღვანელი შემხვდა — პროფესორი მერაბ გოგბერაშვილი, რომელიც საერთაშორისო დონის მეცნიერია და ბევრი ისეთი რამ მასწავლა, რაც უნივერსიტეტის პროგრამაში არ შედის. დავალებები, რომლებიც მან მომცა, მეტ-ნაკლებად დაფძლიე და შემდეგ ისინი სტატეგიების სახით გამოიცა.“

სამომავლოდ ვგეგმავ საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებას, რადგან ფუნდამენტური მეცნიერებები კოსმოპოლიტურია და უცხოელი მეცნიერებების კვლევების ცოდნა-გაზიარება პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი გახლავთ“, — განა-



ცხადა ესტატი ხმალაძის 2015 წლის სტიპენდიის მფლობელმა ოთარ სახელაშვილმა.

ესტატი ხმალაძე არის ერთ-ერთი წამყვანი თანამედროვე სპეციალისტი ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის დარგში. მის მიერ შექმნილია დარგის რამდენიმე ახალი მეთოდი. ერთ-ერთი მეთოდი — „ხმალაძის გარდაქმნა“ — სტატისტიკის სახელმძღვანელოების ნაწილი გახდა. ესტატი ხმალაძე არის ახალი ზელანდიის ეროვნული აკადემიის წევრი და მათემატიკური სტატისტიკის ინსტიტუტის (IMS) საპატიო წევრი. (IMS არის მსოფლიოს ყველაზე ძველი

და პრესტიჟული პროფესიული საზოგადოება ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის დარგში).

ესტატი ხმალაძის სტიპენდიატის შესარჩევ კომისიას ამჟამად თსუ-ის პროფესორი, ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტი ელიზბარ ნადარაია ხელმძღვანელობს. მისი თქმით, ოთარ სახელაშვილის კანდიდატურა უკონკურენტო იყო და მისი გამარჯვების შესახებ კომისიამ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო.

„ფაკულტეტს უკვე ჰყავს ამ სტიპენდიის მფლობელი არა ერთი მაგისტრი, როგორც

მათემატიკის, ასევე, ფიზიკის მიმართულებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ სტიპენდიის რამდენიმე მფლობელს სამეცნიერო შრომა გამოქვეყნებული აქვს მაღალ რეიტინგულ იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში. მაგალითად, დოქტორანტ გ. ტეფანაძეს 20-მდე სტატია აქვს ასეთი სახის გამოცემაში დაბეჭდილი. საერთოდ, ჩვენი ფაკულტეტი უნივერსიტეტში გამორჩეულია ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების თვალსაზრისით“, — აღნიშნა ელიზბარ ნადარაიამ.

ესტატი ხმალაძის სტიპენდიის გადაცემის აღსანიშნავ ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ გახმაინდა მეცნიერების დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები და თსუ-ის კურსდამთავრებულთა სტიპენდიების არსებობის მნიშვნელობა მომავალი მეცნიერების მხარდასაჭერად.

„ჩვენს ფაკულტეტზე ორი ასეთი სტიპენდია არსებობს — ესტატი ხმალაძისა და მანანა გეგეჭკორის სახელობის, რომლებიც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების მიერაა დაწესებული და მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც სამეცნიერო საქმიანობას აპირებენ. თქვენ იცით, საქართველოში ძალიან ცუდი ვითარებაა მეცნიერების ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისით, რომლის გარეშე მეცნიერების განვითარება ძალიან რთულია. ამიტომ ახალგაზრდა თაობის ასეთი სახით წახალისება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ხათუნა კახიანამ.



საშუალო-მშენებელი

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი



ყველა გზა „FACEBOOK-თან“ მიდის

Facebook-ის როლი ქვეყანა იყოს, მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში მე-3 ადგილზე იქნებოდა.

სოციალური ქსელები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული პოპულარობით სწორედ „Facebook“ სარგებლობს, მთელი მსოფლიოს მაცხოვრებელთათვის ცალკე სამყაროდ იქცა. აქ ისინი ერთმანეთს ძალიან ადვილად უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს. კომუნიკაციის ამგვარი ფორმა იმდენად მარტივი და მისაღები გახდა, რომ ადამიანები, ხშირად, პირისპირ ურთიერთობას სოციალურ ქსელებში მიმონერას ამჯობინებენ. ლექტორები და სტუდენტებიც სწორედ აქ ამყარებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას. დავალებებისა და სალექციო თუ შუალედური გამოცდისთვის განკუთვნილი მასალების ვირტუალურ სამყაროში გაცვლა-გამოცვლა ყოველდღიურობის ნაწილი გახდა.



ბადრი კობიაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. მას ხშირად უწევს ლექტორებთან „Facebook-ის“ საშუალებით ურთიერთობა, თუმცა ამაში პრობლემას ვერ ხედავს. „ერთადერთ სოციალურ ქსელს ვიყენებ და ესაა „Facebook“. ვერ ვიტყვი, რომ ეს ქსელი ინფორმაციის მიღებაში მეხმარება, ვგულისხმობ ახალ ამბებს. „Facebook“ მოსახერხებელია საკუთარი შეხედულებების ღიად წარმოსაჩენად. მე მასზე დამოკიდებული არ ვარ. ვფიქრობ, რომ სოციალურ ქსელებში სხვადასხვა სახის საგნისთვის შექმნილი ჯგუფები უადვილებს ლექტორებსა და სტუდენტებს ცოდნის გაზიარებას, საჭირო მასალების გაცვლა-გამოცვლას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი ელექტრონული სასწავლო პროგრამა აქვს, თუმცა ვფიქრობ, რომ „Facebook“ უფრო კომფორტული და მარტივი გამოსაყენებელია და მისი სასწავლო კურსისთვის გამოყენებას არ ვენიშნავდებოდა“, — ამბობს იგი.

არსებობენ სტუდენტები, რომლებიც ამ მოსაზრებას არ იზიარებენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნინო გვახალია, სწორედ ამ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება. მას სხვადასხვა მიზეზის გამო არ მოსწონს სტუდენტებსა და ლექტორებს შორის ურთიერთობის არავირტუალური ფორმა. „ვფიქრობ, რომ სტუდენტს უფრო მეტად უნდა ჰქონდეს

ურთიერთობა წინააღმდეგობა და, რა თქმა უნდა, პირადად ლექტორთან, ვიდრე კომპიუტერთან, რომელსაც საათობით უზის და ძალიან მავნეა მისი ჯანმრთელობისთვის. არსებობენ ისეთი სტუდენტები, რომელთაც არა აქვთ წვდომა ინტერნეტთან, რის გამოც ძალიან უჭირთ სასწავლო მასალის მოპოვება. თითქოს ყველაფერი „Facebook-ზე“ დამოკიდებული გახდა. ხშირად, სწორედ იქ ვუგზავნი ლექტორებს დავალებებს, ვიღებთ და ვაგრძელებთ მასალებს და ა.შ. ის სტუდენტები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ სარგებლობენ აღნიშნული ქსელით, ბევრ მათთვის საჭირო ინფორმაციას საკმაოდ გვიან ან საერთოდ ვერ იღებენ. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ისედაც „Facebook-ს“ მიჯაჭვული ახალგაზრდობა კიდევ უფრო დამოკიდებული ხდება მასზე, რადგან ცდუნება საკმაოდ დიდია. შედიხარ ლექტორისთვის დავალების გასაგზავნად და აღმოჩნდება, რომ მეგობართან მიმონერა საათობით გიგრძელდება. სწორედ ეს იწვევს მიჯაჭვულობას“, — გვითხრა ნინომ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა დიდი ოსეფაშვილმა 2014 წელს ამ თემაზე კვლევა ჩაატარა, რომელიც დიდ ბრიტანეთში „სოციალური მედიის ეფროპულ კონფერენციაზე“ წარადგინა. ის უპირატესობას ელექტრონული სწავლების პროგრამას ანიჭებს,

თუმცა აღნიშნავს, რომ ინტერაქტიურობის გამო „Facebook“ სტუდენტებისთვის უფრო მოსახერხებელია.

„კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა 81% აღნიშნავდა, რომ ყოველ სემესტრულად 3-ზე მეტ საგანში აქვთ „Facebook-ის“ დახურული ჯგუფი. სტუდენტთა თქმით, მისი გამოყენება სასწავლო მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია განათლების პროცესში. „Facebook-ის“ ძირითად უპირატესობად განიხილავენ ეფექტიურობას, მოხერხებულობას და ინტერაქტიურობას. ისინი იღებენ ბევრ მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას სასწავლო კურსთან დაკავშირებით, ხშირად იქვე ტვირთავენ დავალებებსაც. რაც შეეხება „Facebook-ის“ უარყოფით მხარეს, სტუდენტთა 52%-მა აღნიშნა, რომ სოციალური ქსელი მათ ბევრ დროს ართმევს სწავლის პროცესში. ლექციებზე ყოფნის დროსაც კი მობილური ტელეფონით შეიძლება „Facebook-ზე“ და სწორედ, ეს მიჯაჭვულობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე“, — ამბობს ქალბატონი დალი.

ფსიქოლოგები ერთხმად თანხმდებიან, რომ სოციალურ ქსელებზე ზედმეტ მიჯაჭვულობას გრძელვადიანი, საკმაოდ ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. მუდმივად გამოუძინებლობამ, გადაღობვამ შესაძლოა განავითაროს ნერვული აშლილობა, სტრესი, გამუდმებით ცუდ ხასიათზე ყოფნა. ეს ყველაფერი გარემომცვე ფეხზეც უარყოფითად აისახება. ნაკლები დრო ეთმობა საქმეებსა და სწავლას, შესაბამისად, სულ უფრო ნაკლებია წინსვლა, წარმატებები და განვითარება. ეს ყველაფერი უარყოფითად აისახება ჯანმრთელობაზეც.

მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, „Facebook“ მეგობრებისთვის, ნათესავებისთვის, შეყვარებულთა წყვილებისთვის თუ ლექტორ-სტუდენტებისთვის კომუნიკაციის ყველაზე ეფექტურ ფორმად რჩება.

მარიამ ბაბიანი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი



**რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორია...
ბაურაკველი მრავალსართულიანი შენობა...
„მორგი“ — ასე უწოდებენ მას იმ შიკარხიანი ადამიანები.**

პირველ სართულზე სტრიპტიზ კლუბებია. ქვემოთ, ჩაბნელებულ დერეფანში, ფართოდ გაშლილი კობით ჩადიხარ. ირგვლივ ნაგავია მიმოფანტული, სუნაც, შესაბამისად — არასასიამოვნოა. აქაურთა ლაბირინთს ჰგავს — დერეფნის გაყოფაზე ოთახებია, ზოგი კარი მონგრეულია, ზოგი — ჩაკეტილი. მინისკვებ კიდევ 6 სართულია, მაგრამ ქვევით აღარაფერია ჩადის. აქ ხედავს, რომ რეალურ სამყაროს მოწყობა სხვა განზომილებაში აღმოჩნდა... აქ გხვდებიან ადამიანები განსხვავებული გარეგნობითა და აზრებით. ისინი უცხო პირებთან საუბარს გაურბიან. ამბობენ, რომ მათთვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესია, ეს ადგილი კი მათი თავისუფლების გარანტია, თუმცა აქაც „მოაგნეს“ და ახალ ადგილს ეძებენ, ისეთივეს, როგორც „მორგია“, მყუდრო და მშვიდი.

ლურჯი იროკეზი, „Sex pistols-ის“ მაისური, „The exploited-ის“ ტყავის გადაკეთებული ქურთუკი, ნათელი კუმბოკრული შარვალი, მწვანე ნინდები და დახეული „all star“-ის კედი, წარბზე პირსინგი, შავად შეღებილი თვალები, შავი გაცვეთილი მაჩვიური — ეს ლაშას სამყაროა. პირველად მეოთხე კლასში მოუსმინა „Green day“-ს, რამაც მისი ცხოვრების წესი შეცვალა. „punk rock means free“ — თავისუფლება ჩემთვის ყველაფერია, არ ვცნობ საზოგადოების მიერ დაწესებულ დოგმებს. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა რელიგიას, რასაც, სექსუალურ ორიენტაციას,

რამდენად ინვესს საზოგადოებაში სიკუდილს განსხვავებული იმიჯი

„ფრი-ლაივ“, „ფრი-ლაივ“, „ფრი-სექს“ და ასე შემდეგ. მე არაფერი არ მჭირდება მხოლოდ იმიჯი, რომ მოდარია, მთავარი ისაა კომფორტულად ვიგრძნო 24 საათის განმავლობაში, სადაც უნდა ვიყო. ვფიქრობ, ყველაზე უნდა აკეთოს ის, რაც უნდა. ეს ყველაფერი მომწონს და სხვისი აზრი არ მაინტერესებს“, — ამბობს ლაშა.

პანკობა მუსიკის გამო გადაწყვიტა, მოსწონს მისი აგრესიული ტონი, რითაც მას სხვა ჟანრებისგან განსხვავებს: „როდესაც სიმღერის აზრს ჩაგვიყვანდა, მასთან სიახლოვე ვიგრძენი. პანკ-როკში განსაკუთრებით ის მომწონს, რომ შემსრულებელსა და მსმენელს შორის ზღვარი არ არსებობს — ერთად დგებიან და ერთად სვამენ კიდევ! მარტივად აღსაქმელია... ამბობს, რომ ხალხი აგრესიულადაა განწყობილი მათ მიმართ, თუმცა ვერ ხვდება, რატომ იწვევს ზიზღს საზოგადოებაში განსხვავებული იმიჯი.

„ქალაქში თავს დაცულად ვერ ვგრძნობ, არაფერს გამო ფიზიკურადაც ვერ გამსწორებინა. განსაკუთრებით საშიშია საზოგადოებრივი თავშესაფრის ადგილები. ვცდილობ, კონფლიქტში არ შევიდეთ გარშემო მყოფებთან, ყურადღება არ მივიქცეო. ამის გამო ხშირად მახურავს „კაპი-მონი“. ვერ ვხვდები, თუ ჩვენი დანახვა არ სიამოვნებთ, რატომ მოდიხარ ჩვენი თავშესაფრის ადგილებში? ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ავტობუსში ასაკოვან კაცსაც კი მოუყვებოდა შეურაცხყოფა. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი შეგნების დღე ჩვენს ქვეყანაში ძალიან დაბადება. ადამიანებს წარმოუდგენია არ აქვთ პანკებზე, თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც გვლანძღვენ და სატანისტებს გვეძახიან. კატის ნამებასაც კი მამარბლებენ, არადა ცხოველები ძალიან მიყვარს. ხშირად განმიკითხავენ, მაგრამ მე არ მაინტერესებს მათი მოსაზრებები. ჩემი თავის შემოქმედი თვითონ ვარ“, — ამბობს ლაშა.

ბექა ლაშას მეგობარია. ერთად ხშირად არიან. საერთოდ, მარტო სიარულს ყველა ერთად, ერთად უფრო ძლიერდებიან არიან და აგრესიულ საზოგადოებასაც უკეთ უშკლავდებიან.

ბექას პანკის მოსმენა ადრეული ასაკიდან არ დაუწყია. მას ყველაზე მეტად ის შეგრძნებები მოსწონს, რომელიც ამ მუსიკას მოაქვს: „პირველად დაახლოებით 12-13 წლის ასაკში მოვუსმინე პანკს და ამ მუსიკაში ყველაზე მეტად ის

მომეწონა, რომ შეგიძლია, იყო თავისუფალი და აკეთო ის, რაც გინდა. არ არსებობს წესები, არ გაქვს გეგმები მომავლისთვის, უბრალოდ, იმ კონკრეტული მომენტით ტკბები, რაც იმ წამს სიამოვნებას განიჭებს, სცენაზე იქნება ეს თუ ცხოვრებაში, მნიშვნელობა არ აქვს. ჩემი აზრით, ჩვენი ცხოვრებაც ერთი დიდი სანახაა, რომელშიც როლებს ჩვენ თვითონ ვირჩევთ. თავისუფლების შეგრძნება ადამიანებში რატომღაც არც ისე კარგად ჩანს. დავდივარ ქალაქში და ხალხის გაღიზიანებულ, შებოჭულ სახეებს, რომ ვხედავ, ჩემ თავს ვეკითხები, რამ გამოიწვია მათი ასეთი მდგომარეობა? რატომ იზღუდავენ თავს ან რატომ ეშინათ რაღაც სიახლის შეტანის ცხოვრებაში? რატომ არიან აგრესიულები ყველაფერი განსხვავებულის მიმართ? ჩემთვის უმნიშვნელოა, რას ფიქრობს და აკეთებს ხალხი, რადგან თუ ჩემი ცხოვრების სტილი, არ მოსწონთ, ეს, მაგონი, მათი პრობლემაა უფრო, ვიდრე — ჩემი. ვილაცის გამო არა მაგონია ღირდეს საკუთარ ცხოვრებაზე უარის თქმა“, — გვითხრა ბექამ.

მისი აზრით, საბჭოთა კავშირმა და შემდეგ განვითარებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ საქართველოს წინსვლა ძალიან შეაფერხა და ეს ყველაფერი დღევანდელ საზოგადოებაზე ყველა აისახება. „მოსახლეობის უმეტესობა, „ლიბნამონული“ კაცები, ისევ იმ ტრადიციებით ცხოვრობენ, რაც ათწლეულების წინ იყო. წარსულში ჩარჩენილი მუშეები არიან. სწორედ ეს ხდება ხშირად კონფლიქტის მიზეზი. ხალხი ვერ კიდევ ვერ ხვდება, რომ საკუთარ თავს ჩარჩოებში აქცევენ და იმას ვერ აცნობიერებენ, რომ ყველა ასეთი ვერ იქნება. ჩემი გარეგნობა, ეს ჩემი პირადი ცხოვრებაა, მე მესება. „კეთილსინდისიერ“ ადამიანები ცდილობენ ჩემს შეცვლას, „კარგ“ რჩევებს მაძლევენ. როგორც თვითონ ამბობენ, არ უნდათ, რომ თავიანთი შვილები ჩვენ დაგვემსგავსონ. როგორც წესი, ასეთ დროს თავს ვარობენ, არ მიყვარს ამ თემაზე კამათი, რადგანაც არ აქვს აზრი მათთვის რაიმეს ახსნას. როცა ადამიანი რაიმე შეხედულებას ემხრობი, შენ ვინც და რაც უნდა გითხრას, მაინც შენს სიმართლეს ამტკიცებ, მიუხედავად იმისა, როგორი შეხედულება გაქვს, ასევე ჩემ შემთხვევაშიც“, — განაგრძობს იგი.

დალი ჯოლოსხვა თბილისის ერთ-ერთი კერძო სკოლის მასწავლებელია. როგორც თვითონ თქვა, მას სკოლაში ასეთ ბავშვებთან შეხება არ აქვს. მის სკოლაში ყველა მოწესრიგებული დადის და წესრიგის დამრღვევი მკაცრად ისჯება, ხოლო იმაზე, რაც ქალაქში ხდება, გული შესტკივს: „ეს თბილისი ძალიან შეიცვალა. ახლანდელ ახალგაზრდობას რომ ვუყურებ, გული მიკვდება. რატომ უნდა იყოს ჩემი ქვეყანა ასეთი დღემდე? ქალაქში რომ გავდივარ, ისეთი ჩაცმულ და უცნაურ ვარცხნილობას ბიჭებს ვხედავ, სურვილი მიჩნდება, მათთან ისეთივე ურთიერთობა მქონდეს, როგორც ჩემს მოსწავლეებთან მაქვს, რათა გავარკვიო, რატომ იცვამენ და იქცევიან ასე, რამე პრობლემა ხომ არ აქვთ, როგორი ურთიერთობა აქვთ გერმანო მყოფებთან? მშობლების ძალიან მიკვირს, რატომ აძლევენ ბიჭებს თმის შეღებვას, ყურის გახურვას უფლებას? რატომ არ ინტერესდებიან თავიანთი შვილებით? გოგონები ბიჭებზე უფრო აგრესიულები არიან. რაც ვიკითხავ, თვითონაც არ იციან. ეს ყველაფერი ჩვენს ტრადიციებს და მენტალობას არ შეესაბამება. ვფიქრობ, რომ საქართველოს გადაგვარების პირასაა. ამ ადამიანებს სჭირდებათ კარგი მრჩეველი, რომელიც მიუთითებს და აუხსნის, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ეს ყველაფერი მიუღებელია“, — გვითხრა ქალბატონმა დალიმ.

პირველი პანკები ინგლისელები იყვნენ, შემდეგ — ამერიკელები. ეს იდოლოგია ჩამოყალიბდა დაახლოებით 60-იან წლებში, პოლიტიკური პროტესტის გამოხატავდა. მათი მეშვეობით ინგლისის სოციალურმა სტრუქტურამ რღვევა დაიწყო. ისინი კარგად წარმოაჩენდნენ ინდროინდელ პრობლემებს. მათი გაკეთებული „განცხადებები“ ძალიან აქტუალური იყო, ახუ ენა, რომელსაც ისინი იყენებდნენ, გამოირჩეოდა თანამედროვეობითა და დროულობით, როგორც სუბკულტურის წევრებისთვის, ასევე მათი ოპონენტებისთვისაც. ამ გზით მათ ბევრი მიმდევარი გაიჩინეს. ეს ყველაფერი გასულ საუკუნეში ხდებოდა...

ბაჩო ალამია,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ჯანსაღი ამბიციები ლიდერობისთვის

საზოგადოების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ობიექტური ანალიზი და მის საფუძველზე დროული, ზუსტი და საიმედო პროგნოზების შემუშავება. პროგნოზირება მომავლის განვითარების საუკეთესო საშუალებაა, რომელიც საზოგადოებას ეხმარება, თავიდან აიცილოს გაურკვეველი და არასასურველი პროცესები და ამის საფუძველზე უფრო რეალური გეგმები შეიმუშავოს. საზოგადოება დღეს მოკლებულია მიმდინარე მოვლენების ზუსტ ანალიზსა და საიმედო პროგნოზს. ეს სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზით აიხსნება. ამიტომ მნიშვნელოვანია, ისეთი ინიციატივისა და ნაშრომების მხარდაჭერა, რომელიც საზოგადოებაში ზუსტი ანალიზისა და პროგნოზირების დეფიციტს აღმოფხვრის. ზუსტი კვლევისა და პროგნოზის გაკეთების გარანტი კი კომპეტენტური, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მატარებელი სპეციალისტია, რომელიც საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას დაიმსახურებს. სწორედ ასეთი ახალგაზრდები არიან თავმოყრილი თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრში, რომელიც თავის საქმიანობას წარმატებული ნაბიჯებით იწყებს და საზოგადოების ნდობის მოპოვებას ობიექტური, სამართლიანი და ზუსტი კვლევებით აპირებს.

ცენტრის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს წევრი, თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი, თსუ-ის დოქტორანტი, თსუ-ის რექტორის მრჩეველი მანუჩარ ჯანაშია.

— ბატონო ვახტანგ, რა გარემო ფაქტორებმა განაპირობეს თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის შექმნა, ვისი იდეა იყო და ვინ იყო ინიციატორი?

ჩვენი აზრით, უნივერსიტეტის ხმა საზოგადოებაში არ ისმის იმ დონით, რისი პოტენციალიც მას გააჩნია. ჩვენი მიზანია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაზაზე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების კიდევ უფრო გააქტიურება ქვეყანაში მიმდინარე ყოველდღიური, აქტუალური საკითხების განაწილებისა და შესაბამისი უწყებებისთვის რეკომენდაციების შეთავაზების გზით.

ცენტრის შექმნის იდეა მეც და ჩემს კოლეგებსაც — ბატონ ოთარ ანგურაძეს და ირაკლი დოლონაძეს უკვე დიდი ხანია გავგანაძე. თუმცა, ჩვენი ძლიერ დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, რთული იყო ამ საქმის სრულფასოვანი წამოწყება, სანახევროდ საქმის კეთება კი ჩვენი სტილი არ არის, ამიტომ მხოლოდ ახლა შევძელით, დაგვეწყოს ამ დიდი პერსპექტივის მქონე იდეისთვის ხორცის შესხმა. თუმცა, იმასაც დავძენ, რომ თუ არა ბატონ ოთარ ანგურაძის დაჟინებული მოთხოვნა, შესაძლოა ცენტრი ჯერაც არ დაარსებულიყო.

დამფუძნებლები გახლავართ — ოთარ ანგურაძე, ირაკლი დოლო-

ნაძე და მე, სამივე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტები და მონვეული ლექტორები ვართ. რაც შეეხება წევრებს, რომლებიც ასევე დიდ ძალისხმევას იჩენენ ცენტრის გამართული ფუნქციონირებისათვის, გახლავთ ჩვენი უნივერსიტეტის დოქტორანტი და-ძმა — სალომე და ირაკლი დანელიები და ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი — ირინა გონაშვილი. ჩვენი ცენტრი ღიაა ახალი წევრებისთვის, მომდევნო სემესტრიდან ჩვენი რიგების მასშტაბურ გაფართოებას ვაპირებთ.



— რა საქმიანობას ეწევა ცენტრი და რა მიზნები ამოძრავებს?

როგორც უკვე მოგახსენეთ, ცენტრის ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების პოპულარიზება ქვეყნის მასშტაბით, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მათი ჩართულობის და შესაბამისი კვლევების საზოგადოების ფართო ფენებამდე მიტანის გზით. ამისათვის კი, ჩვენ სისტემატურად მოვანაწობთ კონფერენციებს, პრესკონფერენციებს, დისკუსიებს და ა.შ. აგრეთვე აქტიურად გამოვიყენებთ ბექდურ, რადიო, ელექტრონულ და ტელე-მედია.

— ცენტრი არცთუ დიდი ხანა ფუნქციონირებს, მაგრამ მის ანგარიშზე საკმაოდ ბევრი ღონისძიება...

მართალი ბრძანდებით, ცენტრი სულ რამდენიმე თვეა რაც დაარსდა, თუმცა უკვე ჩავატარეთ 10-ზე მეტი ღონისძიება, მათ შორის უმრავლესობას მედია-გაშუქება მოჰყვა, თანაც საკმაოდ მასშტაბურად. ჩვენი ღონისძიებების შედეგია, რომ პრეზიდენტთანაც კი მოგვეცა შეხვედრის შესაძლებლობა. მინვეული გახლდათ აგრეთვე კონკურენციის სააგენტოში, სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო გადაცემებში. განსაკუთრებით გვახარებს ჩვენი სტუდენტების აქტიური დასწრება ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე, რაც ასეულობით დაინტერესებულ



პირში გამოიხატება.

— თანამშრომლობთ თუ არა მსგავსი პროფილის ორგანიზაციებთან, ეკონომიკის ექსპერტებთან და რამდენად შედეგანია ეს თანამშრომლობა?

სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. ერთი მხრივ, ჩვენ გარდა ქვეყანაში უამრავი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდაა, რომლებსაც დახმარების ხელი უნდა გაუწოდოთ, ხოლო მეორე მხრივ, უკვე ჩამოყალიბებული ექსპერტული საზოგადოება აქამდეც გვიცნობდა, მომავალში კი უფრო აქტიური თანამშრომლობის რეჟიმზეც გადავალთ.

— საზოგადოების ნდობის მოპოვებას როგორ აპირებთ?

საზოგადოების ნდობის მოპოვებას ობიექტური, სამართლიანი და ოპერატიული კვლევებით ვაპირებთ.

— სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?

მომდევნო სემესტრიდან რამდენიმე ახალი პროექტის წამოწყებას გეგმავთ. თუმცა, ვისარგებლებთ შესაძლებლობით და აქვე დავანახებთ ერთ-ერთ პროექტს, სახელწოდებით — „ლიდერი“, რომელიც მიზნად ისახავს თსუ-ის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის 20 საუკეთესო სტუდენტის შერჩევას და მათთვის სემინარების (ტრენინგების) ჩატარებას ეკონომიკის და ბიზნესის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

სემინარებს ჩაატარებენ სახელმწიფოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების

წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული ელჩები და წარმატებული ბიზნესმენები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები. ტრენინგებს კი გაუძღვებიან ეკონომიკის სფეროს სხვადასხვა ექსპერტები და დარგობრივი სპეციალისტები.

სტუდენტები, სემინარების პარალელურად, ჩაერთვებიან თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის საქმიანობაში: კვლევებში, კონფერენციებში, საჯარო შეხვედრებში, დისკუსიებსა და სხვადასხვა პროექტში. პროექტის დასრულების შემდეგ გამორჩეული სტუდენტები დაჯილდოვდებიან საკონფერენციო მივლინებით საზღვარგარეთ, ფასიანი პრიზებით და სიმბოლური საჩუქრებით. თითოეულ მონაწილეს გადაეცემა სხვადასხვა კატეგორიის სერტიფიკატი. აგრეთვე, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გამოაქვეყნონ თავიანთი სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევები თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ვებ-გვერდზე.

პროექტში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია: CV ფოტოსურათით; ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე. კონკურსის ეტაპები: I ეტაპი: ტესტირება უცხო ენაზე და ზოგად უნარებში; II ეტაპი: გასაუბრება (ინგლისურ ენაზე).

აქვე, ცენტრის სახელით, მინდა ყველა მონაწილეს ვუსურვო წარმატებები.

ესაუბრა თამარ დალიანი

ლექციების ციკლი — „ვიშეზრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის მიერ მოპოვებული გრანტის (2013–2015 წწ.) საფუძველზე (პროფ. რ. გველესიანი, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი, დოქტორანტი: ნ. მაისურაძე და გ. ყუფარაძე) ვიშეზრადის საერთაშორისო ფონდის ხელშეწყობით გაიმართდა ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებისათვის ლექციების ციკლი „ვიშეზრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირში ინტეგრაციამდე და მის შემდეგ“.

ლექციების კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა იმ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებისა და გამოცდილების შესახებ, რომელიც განხორციელდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოთხეულის ე.წ. ვიშეზრადის ქვეყნების (ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი) ჯგუფში. სუბრეგიონალურმა თანამშრომლობამ, რომელსაც საფუძველი 1991 წლის 15 თებერვალს უნგრეთის ქალაქ ვიშეგრადში, ჩეხოსლოვაკიის

პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის ინიციატივით ჩაეყარა, ევროკავშირთან ინტეგრაციის წარმატებული მაგალითი შექმნა.

ევროინტეგრაციის პროცესი პრიორიტეტულია საქართველოსთვის, რომელიც ესწრაფვის საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის წარმატებით დასრულებას, ევროკავშირის სტანდარტებთან კონვერგენციას და ამ გზით ევროკავშირის წევრობას. მოგესხენებათ,



რომ 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ევროპული საბჭოს შეხვედრის ფარგლებში საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას. 2014 წლის 18 დეკემბერს კი სტრასბურგში, ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა. ამ პროცესების

ფონზე საქართველოსათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ვიშეზრადის ქვეყნების გამოცდილების ცოდნა.

„ვიშეზრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე“ ლექციათა პირველი ციკლი ჩატარდა 2013 წლის 4-6 ნოემბერსა და 2-4 დეკემბერს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მონაწილეები იყვნენ პროფესორი ჯაკე კლიმი კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტიდან (პოლონეთი) და პროფესორი დანიელ კუტორი მისკოლსკის უნივერსიტეტიდან (უნგრეთი). ლექციათა ციკლის ფარგლებში პროფესორმა კლიმიმ დაწვრილებით და საინტერესოდ მიმოიხილა ის გამოწვევები, რომლის წინაშეც პოლონეთი აღმოჩნდა ევროკავშირში გაწევრიანების წინა პერიოდში. პროფესორმა კუტორმა კი ვრცლად ისაუბრა უნგრეთის ევროკავშირში გაწევრიანების ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებზე.

2015 წლის 12-დან 16 იანვარის ჩათვლით პროექტის ფარგლებში უკვე მეორედ ჩატარდა აღნიშნული ლექციათა კურსი. თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ მისკოლსკის უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესორი დანიელ კუტორი (უნგრეთი) და ლეონ კოზმინის აკადემიის პროფესორი დომინიკა ვოჟტოვიჩი (პოლონეთი). ლექციები წარმართა უნგრეთისა და პოლონეთის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე. პროფესორმა დანიელმა ძირითადი აქცენტი გააკეთა უნგრეთის 90-იანი წლებისა და დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის შედარებაზე და განიხილა სამომავლო სამოქმედო გეგმა (უნგრეთი 2014-2020). პროფესორმა ვოჟტოვიჩმა ვრცლად მიმოიხილა პოლონეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდგომ პერიოდებში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა მომავალში გააგრძელებს ვიშეზრადის ქვეყნების წარმომადგენლებთან თანამშრომლობას.

ნიკო ლოპაშნიკი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტი



რით არის ეს წიგნი ასე ფასეული?

თსუ-ში „ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის“ პირველი ტომის პრეზენტაცია გაიმართა. ნაშრომი XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოქმედი მემარცხენე ჯგუფების წარმომადგენლების წერილები და მიმართულება შეესაბამება. ეს არის საზოგადოებისთვის უცნობი, ახალი ინფორმაცია საზოგადოება და პოლიტიკური მოღვაწეების შესახებ, რომლებმაც ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ საზოგადოებაში პროგრესული იდეების გავრცელება დაიწყეს. პრეზენტაციაზე აღნიშნული გამოცემა შეფასდა როგორც მნიშვნელოვანი ნაშრომი სტუდენტებისთვის, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდით დაინტერესებული ადამიანებისთვის და, ასევე, თანამედროვე პოლიტიკოსებისთვისაც.

ნატო ოზოლაძე

„ზოგადი შეხედულების მიხედვით მემარცხენეობა ასოცირდება ბოლშევიზმთან, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან, 25 თებერვალთან... ჩვენ ამ წიგნით ვამბობთ, რომ საქართველოში ამ პერიოდამდე არსებობდა მემარცხენეობა და მას სხვა იდეოლოგია ჰქონდა. ეგონათ, რომ სოციალ-დემოკრატები დამოუკიდებლობას არ ითხოვდნენ, მაგრამ წიგნის პირველ ნაწილში, რომელიც ირაკლი ირემიაძემ შეადგინა, წარმოდგენილია პარტიის ორი გავლენიანი ლიდერი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობაზე საუბრობს. კრებულის ბოლო ნაწილში სხვადასხვა მიმართულებების მოცემულია, რომლებსაც იდეოლოგიური თვალსაზრისით საერთო არაფერი აქვთ იმ ბოლშევიკურ სისტემასთან, რომელიც შემდეგ შეიქმნა. ჩვენ ამ ნაშრომით პატივს სცემთ მემარცხენეობას, რათა ამ საკითხის გადაფასება

და სწორი გააზრება მოხდეს“, — განაცხადა თსუ-ის მაგისტრანტმა, წიგნის ერთ-ერთმა ავტორ-შემდგენელმა ლევან ლორთქიფანიძემ. „ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის“ ავტორ-შემდგენლები თსუ-ის პოლიტიკის მიმართულების სტუდენტები არიან — ირაკლი ირემიაძე, ლევან ლორთქიფანიძე, ხვიჩა ყაზაიშვილი და სოფიკო შუბითიძე. ისინი ამავდროულად არიან „თბილისის ფაზაიზური საზოგადოების“ დამფუძნებლებიც. სწორედ ამ საზოგადოების წრეში დაიბადა აღნიშნული წიგნის გამოცემის იდეა. სტუდენტებმა კრებულზე დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში იმუშავეს. „დღეს მიიჩნევა, რომ პროგრესული პოლიტიკური იდეები საზღვარგარეთიდან შემოდის და რომ, თითქოს, ჩვენ არ გვყავს მოაზროვნეები, რომლებიც ამაზე წერდნენ. ეს შეხედულება მხოლოდ იმის გამო არსებობს, რომ ჩვენ ამ საკითხით არ დაინტერესებულვართ. მემარცხენე მოაზროვნეების ნამუშევრებს ძირითადად საჯარო ბიბლიოთეკაში ვეძებდით. 40 სტატიიდან 13 შევარჩიეთ. ჩვენ არ გვაქვს აკადემიური სტატუსი და შესაძლოა ბევრი ხარვეზი გვქონდეს, ამიტომ მზად ვართ შენიშვნებისთვის. ასევე ვაპირებთ II და III ტომებზე მუშაობის გაგრძელებასაც. იმ ავტორების იდეები, რომლებიც ამ წიგნშია ჩადებული, გლობალური მნიშვნელობისაა. (უბრალოდ, ეს საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის, რადგან ისტორიას ფაქტებისა

და თარიღების მიხედვით ვსწავლობთ და არ ვიცით რაზე წერდნენ, ორიგინალ ტექსტებამდე არ მივდივართ.) გამონაკლისია მხოლოდ სამეცნიერო წიგნები და კონკრეტულად ამ საკითხით დაინტერესებული პირები. ამ წიგნის გამოცემაც სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ფართო საზოგადოება გაეცნოს იმ მემარცხენე მოაზროვნეებს, რომელთა იდეებიც ძალიან მნიშვნელოვანია და აქტუალურია დღესაც“, — განაცხადა კრებულის ერთ-ერთმა ავტორ-შემდგენელმა სოფიკო შუბითიძემ.

როგორც კრებულის წინასიტყვაობაშია აღნიშნული „პირველ თავში თავმოყრილია სტატიები, რომლებიც წარმოაჩენენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელთა დამოკიდებულებას ეროვნული საკითხისა და ნაციონალიზმის შესახებ. მეორე თავი აერთიანებს იმ პოლიტიკური პარტიების პროგრამებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ჩატარებულ პირველ საყოველთაო დემოკრატიულ კენჭისყრაში (საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, 1919 წლის თებერვალი). აქვე შეგიძლიათ ნაიკითხოთ ქუთაისში დაფუძნებული პირველი ქართული ფემინისტური ჯგუფის სამოქმედო პროგრამა. მესამე თავი მოიცავს მემარცხენე მოძრაობის თითქმის ყველა ძირითადი მიმართულების გამორჩეულ წარმომადგენელთა ნააზრევს. ქრესტომათიის ამ ნაწილში შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოში მოღვაწე სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ფემინისტების, ანარქისტებისა და რადიკალი მარქსისტების ნაშრომებს.“

„ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის“ რედაქტორი პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე გახლავთ.

„პრობლემები, რომელზეც ისინი საუბრობდნენ, საქართველოში



დღესაც აქტუალურია. ამ წიგნის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ ჩვენ ერთი საუკუნის წინანდელ ავტორებს წარმოვადგენთ. მათ შექმნეს ისეთი სახის პოლიტიკური სისტემა, რომლის მსგავსიც, სამწუხაროდ, ჯერ ჩვენ საზოგადოებას არ შეუქმნია. ვფიქრობ, ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნი გახდება ქართველი პოლიტიკოსებისთვის. ჩვენ სპეციალურად გამოვეცით მემარცხენე მოაზროვნეების წერილები ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე, რათა შესაძლებლობა მიგვეცა მკითხველისთვის — მათი იდეები ორიგინალი ტექსტების მიხედვით გაეანალიზებინათ“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტმა, გამოცემის ავტორმა ხვიჩა ყაზაიშვილმა.

„მინდა მადლობა ვუთხრა ამ სტუდენტებს, რომლებმაც დიდი ინტელექტუალური პოტენციალი გამოავლინეს და დაინტერესდნენ ერთი პარტიიდან მეორეში გადასვლას და საქართველოში ნორმალური პარტიული სპექტრი ჩამოყალიბდება. XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი იდეური თვალსაზრისით საოცრად მრავალფეროვანია. ეს პერიოდი მოწმობს ქართული საზოგადოების გონებრივ ინტელექტუალურ პოტენციალს. ჩვენი აზროვნების ევროპეიზაცია ჯერ კიდევ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, როდესაც შემოდის ტერმინი „პარტია“, უფრო მოგვიანებით კი ტერმინი — „პოლიტიკა“. 1918-1921 წლებში კი, როდესაც მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული მიმართულება მოვიდა ხელისუფლებაში, გარეშე ძალებს ხელი რომ არ შეეშალათ, ვფიქრობ, დღეს ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული, განვითარებული სახელმწიფო გვექნებოდა“, — აღნიშნა მალხაზ მაცაბერიძემ.

„ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის“ პრეზენტაცია 14 თებერვალს გაიმართა. ღონისძიებას სტუდენტები, პროფესორები, მონაწილე სტუდენტები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარ-

მომადგენლებიც ესწრებოდნენ. პრეზენტაციაზე თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ აღნიშნა, რომ „ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის“ II და III ტომების გამოცემა უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დააფინანსებს.

„წიგნის ფასეულობას მასში გამოქვეყნებული წერილები განსაზღვრავს, მაგრამ გამოცემა კიდევ უფრო ფასეულია იმით, რომ იგი სტუდენტებს მოამზადებს. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს არ არის სამეცნიერო საქმიანობა, თუმცა არ ვეთანხმები — აქ უკვე შეიმჩნევა კვლევის ელემენტები. ეს გამოცემა მაღალი რანგის სასწავლო პროცესის დასტურია, როდესაც სტუდენტები საგანს ეუფლებიან არა მხოლოდ მზა სასწავლო მასალის საშუალებით, არამედ თავად ცდილობენ ახალი ინფორმაციის მოძიებას, საკითხის ღრმად შესწავლას და მიღებული ცოდნის სხვებისთვის გაზიარებას. დიდი მადლობა ბატონ მალხაზ მაცაბერიძეს, რომელიც სტუდენტებს გვერდით დაუდგა. ეს ურთიერთობის ის ფორმაა, რომელიც პროფესორსა და სტუდენტს შორის უნდა იყოს. მინდა, ასევე, სტუდენტებს ვუთხრა, რომ უნივერსიტეტი მათია და „ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის“ II და III ტომების გამოცემისა თუ შედგენის პროცესში ნებისმიერი ფორმით დახმარებას გაუწევს. ეს ჩვენთვის საამაყია. დარწმუნებული ვარ, ამ გამოცემას უნივერსიტეტშიც და სრულიად საქართველოშიც ბევრი დაინტერესებული მკითხველი ეყოლება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ.

როცა შეხება „ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის“ I ტომს, იგი არასამთავრობო ორგანიზაციის „შენ დემოკრატიისთვის“ მონაწილეობითა და The National Endowment for Democracy-ის დაფინანსებული პროექტის მატერიალური მხარდაჭერით გამოიცა.



ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზში მოეწყო წიგნების გამოფენა ლიტერატურის კრიტიკოსის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის კოლექციიდან.

მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი ბიბლიოთეკის ისტორია დაიწყო სწორედ იმ საჩუქრით, რომელიც კიტა აბაშიძემ გაუკეთა უნივერსიტეტს. მან თავისი დანატოვარი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს უსახსოვრა. ის, რაც გამოფენილია დღეს, მხოლოდ მცირე ნაწილია, მაგრამ დამთავალიერებელი ნახავს — თურა მდიდარი შენაძენი იყო უნივერსიტეტისთვის. ეს იყო უნიკალური წიგნები არა მარტო იმდროინდელ საქართველოში, არამედ ზოგიერთ ევროპულარულ დღესაც ერთადერთია და ისიც ჩვენს უნივერსიტეტშია“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

„კიტა აბაშიძის როლი უნივერსიტეტის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ანდერძის თანახმად, მისი წიგნების კოლექცია უნდა გადასცემოდა უნივერ-

სიტეტს. 1917 წელს აღნიშნული კოლექციით ფაქტობრივად გაიხსნა უნივერსიტეტის წიგნთსაცავი. კიტა აბაშიძის ოჯახი და მისი შთამომავლობა მთლიანად არის დაკავშირებული საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლასთან და ამ გამოფენით ჩვენ პატივი მივაცემთ მის ოჯახს, ყველა უნივერსიტეტელს და საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის იბრძოდა“, — აღნიშნა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრემ თარხუჯ ჯავახიშვილმა თსუ ბიბლიოთეკას 1925 წელს გადაღებული სურათი გადასცა, რომელზეც სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრები არიან გამოსახული. სურათი იმითაც არის საინტერესო, რომ მასზე დატანებულია უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრთა, ცნობილ მეცნიერთა ხელმოწერები. ღონისძიებაზე მოსულმა სტუმრებმა პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დალუ-

პულთა ხსოვნას და უნივერსიტეტის ეზოში აღმართული მემორიალი ყვავილებით შეამკეს; დაათვალიერეს კიტა აბაშიძის წიგნები კოლექციის ნაწილი და ეპოქის ამსახველი ფურნალ-გაზეთებიდან მის პუბლიცისტურ წერილებს გაეცნენ.

ღონისძიებას უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, კიტა აბაშიძის, ივანე ჯავახიშვილისა და დალუპულ იუნკერთა შთამომავლები, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ფოთის მერიას შორის

ნათო მობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ და ფოთის მერმა ირაკლი კაკულიამ მოაწერეს. მემორანდუმის თანახმად, მხარეები ერთობლივად განახორციელებენ საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს.

„ეს მემორანდუმი ჩვენი ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ახალგაზრდებისთვის სკოლის დამთავრებამდე გახდეს გასაგები — რა არის მათთვის მნიშვნელოვანი და როგორ შეეჭიდონ ცხოვრებას. ამ ყველაფერში დაგვეხმარება ეს მემორანდუმი. მთავარია, შეთანხმება განხორციელდეს“, — განაცხადა ფოთის მერმა ირაკლი კაკულიამ.

„უნივერსიტეტისთვის რეგიონებთან ურთიერთობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ასეთი მიდგომა რეგიონების მაცხოვრებლებს საშუალებას აძლევს იცოდნენ — რა ხდება უნივერსიტეტში. საუნივერსიტეტო რესურსი ჩვენ მათ სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. ქალაქ ფოთთან ჩვენ უკვე ჩამოგვიყალიბდა კარგი ურთიერთობა, მემორანდუმი კი ინსტიტუციურ ფორმას სძენს ჩვენს თანამშრომლობასა და ერთობლივ ინიციატივებს. იგულისხმება ჩვენი სტუდენტების ჩართულობა ფოთის ცხოვრებაში და ფოთელი მოსწავლეების დაკავალიანება პროფესიის შერჩევის დროს. თუ ისინი სწავლის გასაგრძელებლად თსუ-ს აირჩევენ, ჩვენ მივანვლით ინფორმაციას — რა ხდება უნივერსიტეტში სწავლისა და კვლევების თვალსაზრისით“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ.

ფოთის მერიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი მნიშვნელოვნად დაეხმარება გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებს, რომლებიც პრაქტიკულ სამუშაოებს კოლხეთის ეროვნულ პარკში ატარებენ. ასევე, იგეგმება ამ პროცესში ფოთის საჯარო სკოლების მოსწავლეების ჩართვაც.

„მიმდინარე წელს, ვფიქრობთ, რომ კოლხეთის ეროვნულ პარკში სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის ერთობლივი პრაქტიკები ჩავატარებთ. ვაჩვენოთ, რომ ჭაობი არ არის მხოლოდ სხვადასხვა



ცხოველებისა და ამფიბიების თავშესაფარი, მას დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ეკოლოგიისთვის. ასევე, ველოდებით სტუდენტებს სომხეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან და მათთან ერთად ფოთის დაცული ტერიტორიების შესწავლას ვგეგმავთ“, — აღნიშნა თსუ-ის გეოგრაფიის მიმართულების ასისტენტი-პროფესორმა გიორგი დვალაშვილმა.

მემორანდუმი გათვალისწინებულია თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ საქმიანობაც.

„ფოთთან ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის პოზიტიური იყო. ურთიერთობა ერთ-ერთ ღონისძიებაზე ჩვენი მიზანმიმართული დაინყო, სადაც ფოთის მერიამ 150 ადგილობრივი პედაგოგი დააჯილდოვა. შემდეგ დაიბადა იდეა, რომ ჩვენი ურთიერთობა უფრო გაღრმავებულიყო და ოფიციალური სახე მიეცემა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო ფაქტია როგორც ჩვენი სტუდენტებისთვის, ასევე, იქაური მოსწავლეებისთვისაც“, — ვითხრა თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორმა მარინა ლომოურმა.

თსუ-სა და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობა ოფიციალურად 3 თებერვალს გაფორმდა.

„საბავშვო უნივერსიტეტის“ ღია კარის დღეები



ნათო მობოლაძე, კობულეთის კერძო სკოლის „ფარნავაზის“ VIII კლასის მოსწავლე:

— ასტრონომიით ვარ გატაცებული, ამიტომ თსუ-ის პლანეტარიუმის დათვალიერებამ ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ღია კარის დღეებზე ბევრი საინტერესო და ახალი ინფორმაცია გავიგე უნივერსიტეტის შესახებ და ამის შემდეგ მეტი მოინდომე გავაგრძელებ სწავლას. მომავალი პროფესია არჩეული არ მაქვს, უნივერსიტეტში სტუმრობისას ბევრი ახალი ინფორმაცია გავიგე, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.



შურთხია ბაროშვილი

თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ღია კარის დღეები თსუ-ის 97 წლის საიუბილეო თარიღს დაემთხვა და განსაკუთრებული მასშტაბით აღინიშნა. 10-13 თებერვალს გამართულ საზეიმო ღონისძიებებსა და საჯარო ლექციებს თბილისის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული მოსწავლეები დაესწრნენ. ისინი ხალისით ყვებიან თავიანთ შთაბეჭდილებებზე, უნივერსიტეტში გატარებული 4

დღე მათთვის დაუვიწყარ მოგონებად იქცა.

უნივერსიტეტის წარსული, აწმყო და მომავალი — „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამა ამგვარი ქრონოლოგიით გაიმართა, რომელმაც სკოლის მოსწავლეების დიდი დაინტერესება გამოიწვია. პირველ დღესვე მათ ორი საჯარო ლექცია მოისმინეს უნივერსიტეტის ისტორიის შესახებ, რომლებიც მათთვის თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა და პროფესორმა მერაბ ბახტაძემ წააკითხეს. ღია

კარის დღეების დაწყება სკოლის მოსწავლეებს თსუ-ის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ მიულოცა: „მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში თავი მოიყარა ამდენმა ახალგაზრდამ, იმედია, ბევრ თქვენგანს გაუჩნდება სურვილი — სწავლა გააგრძელოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მჯერა, რომ ეს არ იქნება ერთი ჩვეულებრივი დღე თქვენს ცხოვრებაში, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი ტრადიციებით, ისტორიული მისიით გამოირჩეული სასწავლებელია, რომელიც ორიენტირებულია მომავალზე. ამას ემსახურება „საბავშვო უნივერსიტეტიც“, სადაც სხვადასხვა მიმართულებით შეგიძლიათ უფრო მეტი გაიგოთ იმ დარგების შესახებ, რომელსაც სკოლაში სწავლობთ. ამიტომ ეს დღეები თქვენთვის შთაბეჭდავი იქნება“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

უნივერსიტეტის ანწყობე, სწავლების პროცესსა და სტუდენტების უფლება-მოვალეობებზე, სტუდენტურ ცხოვრებაზე მოსწავლეებს თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორი გიორგი გრიგოლაშვილი ესაუბრა. გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია კი მოსწავლეებმა საგარეო ურთიერთობათა

დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის მაია მენთეშაშვილისგან მიიღეს. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში თსუ-ის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიების გაცნობამ, სადაც მათ საშუალება მიეცათ ქიმიკაში და ფიზიკაში ინდივიდუალურად ჩაეტარებინათ ცდები. განსაკუთრებული ინტერესით მოისმინეს მოსწავლეებმა სახალისო ლექციები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ასევე, თსუ-ის პროფესორების: თამაზ ნადარეიშვილის ლექცია — „ფიზიკა ფიზიკის გარეშე“, ილია თავხელიძის საჯარო ლექცია — „მარტივზე სერიოზულად, სერიოზულზე მარტივად“ და სხვა.

თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელის მარინა ლომოურის ინფორმაციით, წლებიდან დღეები დაინტერესებით მასშტაბური იყო სხვა წლებთან შედარებით, ამასთან, წელს უფრო მეტი რეგიონის საჯარო სკოლები ჩაერთნენ ამ პროგრამაში, რაც მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გააქტიურებისა და მომავალი სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო პოტენციალის გაცნობის მიზნით.

თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ მონაწილეებმა შთაბეჭდილებები გაგიზიარეს:

მარინა კაპანაძე, ჭიათურის ანდრია პირველწოდებულის სახელობის საჯარო სკოლის მოსწავლე:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ჩემი ოცნებაა. მინდა, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარო. „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში მოსმენილი ყველა ლექცია ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ კიდევ ერთხელ დაერწმუნე, რომ მიზნის მისაღწევად უფრო მეტი უნდა ვიშრომო. მჯერა, რომ წინ ძალიან საინტერესო სტუდენტური ცხოვრება მელიდება.

თინათინა კაპანაძე, ჭიათურის ანდრია პირველწოდებულის სახელობის საჯარო სკოლის მოსწავლე:

— ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კვლევითმა ლაბორატორიებმა და იქ ჩატარებულმა ცდებმა. კარგად ვსწავლობ, თუმცა ყველაზე მეტად გეოგრაფია მაინტერესებს. მინდა, მომავალში წარმატებული ადამიანი გავხდე და დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტი ამაში დამეხმარება.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ მონაწილეებს, ღია კარის დღეების დამთავრების შემდეგ, სერტიფიკატები გადაეცათ.



კავკასიოლოგიის რუსულ სექტორს ჩრდილოეთ კავკასიიდან სტუდენტები მომავალ წლებშიც ეყოლება

სალიმ სუნგუროვი დაღესტნიდანაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის მიმართულებით სწავლობდა და საბაკალავრო ნაშრომი იმდენად მაღალ დონეზე დაიცვა, შედეგად და პროფესორები უკვე „უმცროსი კოლეგას“ ეძახიან. სალიმი მარტო არაა. მასთან ერთად მისი ბიძაშვილები — გაჯიმურატი და ქაბალ სუნგუროვებიც არიან. მეოთხე — ჩერქეზი, ყაბარდოელი თემურ დოროგოვი, რომელზეც კავკასიოლოგები დიდ იმედებს ამყარებენ.

ბიჭები თავიანთ აულებში ცხოვრობდნენ, გაგონილი ჰქონდათ, რომ სადღაც იყო საქართველო, სადაც „მოძმე და მონათესავე“ ქართველები სახლობდნენ. მაშინ, ვერც წარმოიდგენდნენ, რომ, ერთხელაც, ის ქვეყანა მათი მეორე სამშობლო გახდებოდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. დაღესტნელი ჟურნალისტი რუსულ სუნგუროვი ერთერთ სემინარზე თსუ-ის პროფესორებს შეხვდა და მათგან შეიტყო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზად იყო — ჩრდილოეთ კავკასიელები მიეღო. რუსულ სუნგუროვმა ინფორმაცია თავის ვაჟს აცნობა, მან კი ბიძაშვილებს და ასე მოხვდნენ სუნგუროვები თბილისში.

„პირველად რომ ჩამოვედი, ან განსვენებულმა პროფესორმა მიხილ ქურდიანმა მითხრა: „მეც და საქართველოც 4 ძმით გავმდიდრდით. ჩვენ ახლა ოთხით მეტნი ვართ“, — ამ სიტყვებმა ბევრი რამ გადამანწყვტინა“, — იხსენებს სალიმი. მოკლედ, ქართველი პროფესორების ძალისხმევით, ჩრდილოკავკასიელებმა არა მარტო კავკასიოლოგია, არამედ საქართვე-

ლო და ქართული ენაც შეიყვარეს. ისინი ახლა მაგისტრატურისთვის ემზადებიან და როგორც მათი ხელმძღვანელი, პროფესორი ცირა ბარამიძე ამბობს, ეს ისტორიული და სამომავლო საქმეა. „რა უნდა მოხდეს, რომ ესენი საქართველოს წინააღმდეგ წავიდნენ. მათ უკან აულები დგას. აულები კი მთელი ჩრდილოეთ კავკასიაა“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის მიმართულებით რუსული სექტორი 1946 წლიდან 1991 წლამდე არსებობდა. თავის დროზე, ეს მიმართულება, ძირითადად, ჩრდილოკავკასიელი სტუდენტებისთვის შეიქმნა. კავკასიოლოგიის რუსულ სექტორზე მზადდებოდა სპეციალისტები ჩრდილო კავკასიის ყველა ქვეყნიდან. 2006 წლამდე არსებობდა მხოლოდ ლინგვისტიკის მიმართულება. რეფორმების შემდეგ მას ისტორიის მიმართულებაც შეუერთდა და, ფაქტობრივად, ორი კათედრის საფუძველზე ჩამოყალიბდა ერთი ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტს აქვს ერთიანი განახლებული ინტეგრირებული პროგრამები.

კავკასიოლოგიის რუსულ სექტორზე სწავლება ისტორიული პროცესების გამო შეწყდა. ბოლოს, 1991 წელს, აბაზები და აფხაზები სწავლობდნენ, რომელთაც პროცესი ვერ დაასრულეს, რადგან აფხაზეთის ომი დაიწყო.

2010 წლამდე უნივერსიტეტს ჩრდილოკავკასიელი სტუდენტები არ ჰყოლია. რუსული სექტორი კი ფუნქციონირებდა, მაგრამ ეს იყო რუსულენოვანი აზრებიაჯანვლებითა და რუსულენოვანი სომეხ ეროვნების სტუდენტებით დაკომპლექტებული ჯგუფები.



„დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ შეგვექმნა ინტეგრირებული პროგრამები ისტორიისა და ლინგვისტიკის მიმართულებით და შევძლებოდა ამ მიმართულებით ჩრდილოკავკასიელი სტუდენტების სწავლება. ეს იყო ისტორიული მომენტი. ფაქტობრივად, 20 წლის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ჩრდილოკავკასიელთა პირველი ნაკადი. ესენი არიან სალიმ სუნგუროვი, გაჯიმურატი სუნგუროვი, ქაბალ სუნგუროვი და ჩერქეზი თემურ დოროგოვი. ოთხივემ დაამთავრა ბაკალავრიატი. მიიღეს უმაღლესი შეფასებები“, — აცხადებს პროფესორი ცირა ბარამიძე.

სწორედ ქალბატონ ცირა ბარამიძის ძალისხმევით შედგა ეს სექტორი ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის. უნივერსიტეტის პროფესორების მონდომებით, კავკასიოლოგიის რუსულ სექტორს ჩრდილოეთ კავკასიიდან სტუდენტები მომავალ წლებშიც ეყოლება.

წლებიდან გამომდინარე მოჰყვება ჩერქეზების ჯგუფი, რომლებიც ერთი წლის შემდეგ დაასრულებენ სწავლას ბაკალავრიატში.

„იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, გენბავთ კულტურული პრობლემების ფონზე, რომელიც დღეს ჩრდილოეთთან გვაქვს რუსეთის ფედერაციის გავლენით, ადვილი არ იყო ამ საქმის დაწყება. იმ ფაქტს, რომ ჩრდილოეთ კავკასიელები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიოლოგიას სწავლობენ, დიდი დატვირთვა აქვს კულტურული, სოციალური, პოლიტიკური თვალსაზრისითაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პოლიტიკის სფეროს არ ვეხებით“, — აღნიშნა პროფესორმა ცირა ბარამიძემ.

ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ სტუდენტებს სწავლის და ცხოვრების საფასურს მთლიანად

საქართველოს მხარე უნაზღაურებდა. 2008 წელს დაარსდა „კავკასიის ფონდი“. ამ ფონდის შექმნის მიზანი იმ ჩრდილოეთ კავკასიელების დაფინანსება გახლდათ, ვინც თბილისში სწავლის სურვილს გამოთქვამდა. თავის მხრივ, ამ იდეას დღემდე მხარში უდგას უნივერსიტეტიც. „რექტორის მხრიდან ყველა ჩვენი არგუმენტირებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“, — დასძინა ცირა ბარამიძემ.

მოხდა ისე, რომ „კავკასიის ფონდი“ დაიხურა და ჩრდილოეთ კავკასიელების თბილისური განათლების იდეას საფრთხე შეექმნა. ჩამოსული სტუდენტების სწავლის ერთი სემესტრის საფასური უნივერსიტეტის პროფესორებმა საკუთარი სახსრებით დაფარეს. პროფესორებმა ქვეყნის სირცხვილად ჩათვალეს ამ სტუდენტების უკან — დაღესტანსა თუ ჩერქეზეთში გაშვება და ხან მთავრობა შეანუხეს, ხან კი პარლამენტი.

„მიემართეთ მთავრობას, რომელმაც დაავალა „ქართუ“ ჯგუფს — მიეხედა ამ საკითხისთვის და გადმოირიცხული თანხით დაფარეთ კიდევ ერთი წლის სწავლის საფასური. ახლახან მთავრობის დადგენილებით გადმოგვირცხეს 27 500 ლარი. უკვე შევხვდით დიასპორასა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს გუბაზ სანიკიძეს, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა, რომ კვლავაც დაუჭერენ მხარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამ მნიშვნელოვან საქმეში“, — სიხარულით აღნიშნავს ცირა ბარამიძე.

მომავალ
თამარ ასლანიკაშვილი

თსუ-ში ჩინური ენისა და კულტურის ოთახი გაიხსნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩინური ენისა და კულტურის ოთახის გახსნას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუე ბინი, თბილისის ვიცე-მერი ალუდა გოგლიძე, საქართველოში კომპანია HUAWEI-ის წარმომადგენლები, პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ. ოთახი საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს საელჩოსა და HUAWEI-ის წარმომადგენლობის თანადგომით კომპიუტერული ტექნიკითა და საჭირო ავეჯით აღიჭურვა.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „რამდენიმე თვის წინ ჩინეთის ელჩი შეგვიპირდა, რომ უნივერსიტეტში ჩინური ენისა და კულტურის ცენტრის გახსნაში დაგვეხმარებოდა. სასიამოვნოა, რომ ეს დაპირება შესრულდა და „ჰუავეის“ დახმარებით აღიჭურვა აუდიტორია, რომელიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ თსუ-ის სტუდენტებს, არამედ მდიდარი ჩინური კულტურით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს — ისარგებლოს ამ ცენტრით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი სტუდენტები მაქსიმალურად გამოიყენებენ ამ შესაძლებლობებს“.

„საქართველო და ჩინეთი დიდი ხანია თანამშრომლობენ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით. ცენტრის გახსნა კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს ჩვენი

პარტნიორი ქვეყანა განათლების ხარისხის ამაღლებას; მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმეში კერძო კომპანია ჩართულია. ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ხელშეკრულების თანახმად, მნიშვნელოვნად გააქტიურდება სტუდენტთა მოძიება. ჩვენმა სტუდენტებმა წარმატებით უნდა გამოიყენონ ეს შესაძლებლობა“, — აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

„მოხარული ვართ, რომ თსუ-ში გაიხსნა ჩინური ენისა და კულტურის ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი და საქართველო გეოგრაფიულად ძალიან შორსაა ერთმანეთისგან, ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს. თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებმა ჩვენს შორის მანძილი კიდევ უფრო შეამცირა. თსუ-ის სტუდენტებს, რომლებიც ჩინურ ენას სწავლობენ, ფართო შესაძლებლობები ეძლევათ. მთავრობათაშორისი შეთანხმების საფუძველზე გაიზარდა ჩინეთის მთავრობის სტიპენდიების რაოდენობა. ჩინეთის საელჩოს გადამწყვეტილებით, თსუ-დან, წელს, ნაცვლად ერთი სტუდენტისა, სამი სტუდენტი გაემგზავრება ჩინეთში სასწავლებლად. საელჩოსა და კომპანია „ჰუავეის“ საჩუქარი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ჩინური ენის სწავლებას. იმედი მაქვს, ეს სტუდენტები იქნებიან ჩვენი ქვეყნის მეგობრობის გამგრძელებლები და საკუთარ კარიერულ წინსვლას შეუწყობენ ხელს“, — განაცხადა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იუე ბინმა.

„კომპანია „HUAWEI“ 2001 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოში. გვიხარია, რომ თსუ-ის ჩინური ენისა და კულტურის ცენტრს ვეხმარებით და კიდევ უფრო მეტ სტუდენტს ვაძლევთ ჩინური ენის სწავლის საშუალებას. იმედი მაქვს, ეს ცენტრი ბევრ წარმატებულ სინოლოგს გაზრდის“, — აღნიშნა HUAWEI-ის წარმომადგენელმა საქართველოში მარკო სუმ.



ველოში. გვიხარია, რომ თსუ-ის ჩინური ენისა და კულტურის ცენტრს ვეხმარებით და კიდევ უფრო მეტ სტუდენტს ვაძლევთ ჩინური ენის სწავლის საშუალებას. იმედი მაქვს, ეს ცენტრი ბევრ წარმატებულ სინოლოგს გაზრდის“, — აღნიშნა HUAWEI-ის წარმომადგენელმა საქართველოში მარკო სუმ.

დენტების მხარე რაოდენობაა. ჩინეთის საელჩოს სასიამოვნო სიურპრიზი — 3 სტუდენტის გაგზავნა სასწავლებლად ჩინეთში, ძალიან დიდი სტიმულია ჩვენი სტუდენტებისთვის“, — განაცხადა პროფესორმა ნანა გელაშვილიმ.

HUAWEI მსოფლიოში ლიდერი კომპანიაა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თვალსაზრისით. მისი ტელესაკომუნიკაციო და IT პროდუქტები და გადამწყვეტილებები გამოიყენება 170 ქვეყანაში. გაყიდვების თვალსაზრისით კომპანიის წლიურმა შემოსავალმა 2013 წლისთვის 39.6 მილიარდი შეადგინა და 285-ე ადგილზეა მსოფლიოს 500 საუკეთესო სამრეწველო კომპანიაში შორის. ხოლო ICT ტექნიკის მწარმოებლებს შორის მას უდავოდ პირველი ადგილი უკავია. HUAWEI წლიური შემოსავლის 10



პროცენტს აბანდებს კვლევებისა და ტექნოლოგიების შემუშავების კუთხით, რაშიც კომპანიის 150 000 თანამშრომლის 45 პროცენტია ჩართული. პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით კომპანია ცდილობს შექმნას ეფექტიანი და ინტეგრირებული ციფრული ლოჯისტიკის სისტემა. გარეშო, სოციალური პასუხისმგებლობა, მწვანე ტექნოლოგიები (გარემოს დაცვა), სწავლისა და ცოდნის პოპულარიზაცია და მხარდაჭერა, ადამიანებზე და მომავალ თაობებზე ზრუნვა ჰუავეის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის „შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის“ მიმართულებაზე ორ მოდულს — სინოლოგიას (ჩინური ენა, კულტურა, ჩინეთის ისტორია) და იაპონიისტიკას მოიცავს. სინოლოგიის მიმართულებაზე ამჟამად 30-მდე სტუდენტი სწავლობს, რომელთაც ქართველი პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ჩინელი სპეციალისტები ასწავლიან ჩინურ ენასა და კულტურას.

გასულ წელს, ჩინეთის ელჩის იუე ბინის ინიციატივით თსუ-ს ჩინური ენის სახელმძღვანელოები და ჩინეთის შესახებ ლიტერატურა გამოეცა.

სტოქასტური ფინანსური მათემატიკის პრობლემები

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ომარ ფურთუხია უნივერსიტეტში ლექციებს 1984 წლიდან კითხულობს. ამავე პერიოდში, პარალელურად მოღვაწეობს რაზმადის მათემატიკის ინსტიტუტში. 2006 წლიდან (პროფ. ე. ნადარაიასთან ერთად) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის მასშტაბით ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის სწავლებას.

დღეს, როდესაც სახელმძღვანელოები კვლავ პრობლემად რჩება უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, თსუ-ის მათემატიკის დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს მათ შედგენა-გამოცემაზე. სამეცნიერო კვლევების გარდა, დეპარტამენტის ხელმძღვანელი ყურადღებას ამახვილებს უნივერსიტეტის თანამშრომელთა სოციალურ საკითხებზეც. პროფესორი ომარ ფურთუხია ლექციებს სამივე საფეხურის სტუდენტებს უკითხავს. პარალელურად მუშაობს სამეცნიერო ნაშრომებზე, რომელთა ნაწილი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში იბეჭდება. პროფესორ ომარ ფურთუხიას უკანასკნელი პერიოდის სამეცნიერო თემატიკა გახლავთ სტოქასტური (სტოქასტური გავრცელებული ტერმინი და ნიშნავს შემთხვევით) ფინანსური მათემატიკის პრობლემები.



გვხვდება თანამედროვე გამოყენებით კვლევებში. ნიგნი არაა გადატვირთული მათემატიკური დებულებების დამტკიცებებით, ძირითადი აქცენტი გადატანილია შინაარსობრივ მხარეზე და სამოტივაციო და საინტელექტუალური მაგალითებზე. სახელმძღვანელო შედგენილია თსუ-ში ამჟამად მოქმედი სილაბუსებისა და სასწავლო პროგრამების მიხედვით ისეთ დისციპლინებში, როგორცაა: „სტატისტიკა 1“, „სტატისტიკა 2“, „სტატისტიკა არქეოლოგიისათვის“, „სამეცნიერო მონაცემთა ანალიზი“, „გამოყენებითი სტატისტიკა“, „კვლევის სტატისტიკური მეთოდები“.

პროფესორი ომარ ფურთუხია გვესაუბრება ამ მიმართულების არსსა და მნიშვნელობაზე: „ჩემი კვლევის ძირითადი მიმართულებებია სტოქასტური ანალიზი და სტოქასტური ფინანსური მათემატიკა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გამოყენებითი მათემატიკის უმნიშვნელოვანეს განშტოებას, რომელიც გულისხმობს ფინანსური ბაზრების გამოკვლევას სტოქასტური ანალიზის აპარატის გამოყენებით. სტოქასტური ანალიზის მიღწევები, დღეს, საყოველთაოდ აღიარებულია. მისი ძირითადი ცნებები და ინსტრუმენტებია მარტინგალები, სემიმარტინგალები, სტოქასტური ინტეგრალები, სტოქასტური ნარმოებულები, სტოქასტური ექსპონენტა, იტოს ფორმულა და სხვა. გასული საუკუნის 70-იან წლებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიქმნა სტოქასტური ვარიაციული აღრიცხვა და განზოგადებული სტოქასტური ინტეგრალის თეორია. კვლევები სტოქასტურ ვარიაციულ აღრიცხვაში დაიწყო პ. მალიენის მიერ. განზოგადებული სტოქასტური ინტეგრალის ცნება კი ეკუთვნის ა. სკოროხოდს.“

იტოსა და იტო-ვენტცელის ტიპის ფორმულები სკოროხოდის ინტეგრალის ტერმინებში ე.წ. ანტისიზატიური კომპენსირებული პუასონის სემიმარტინგალური პროცესებისათვის.

გამოკვლეულია პილბერტის სივრცეში შემთხვევითი მარჯვენა მხარის მქონე დიფერენციალური განტოლების ამონახსნის განაწილების ლოგარითმული ნარმოებულის არსებობის საკითხები (პროფ. გ. სოხაძესთან ერთად). შესწავლილია სტანდარტული მარკოვის პროცესების ოპტიმალური გაჩერების ამოცანა და მისი კავშირი ვარიაციულ უტოლობებთან, გამოკვლეულია გადასახადის ფუნქციის რედუქციისა და კრებადობის საკითხები (პროფ. ბ. დოჭვირთან ერთად). განხილულია პირველი რიგის ქიმიური რეაქცია, როდესაც რეაგენტის კონცენტრაცია განაწილებულია ბინომური კანონით. მიღებულია რეაგენტის და პროდუქტის კონცენტრაციების მათემატიკური ლოდინისა და დისპერსიის ცხადი გამოსახულებები. აგებულია აგრეთვე პირველი რიგის რეაქციის სტოქასტური მოდელი.

სახადის ფუნქციისა და გარკვეული ინდიკატორის ნამრავლია, რომელსაც როგორც წესი არ გააჩნია სტოქასტური ნარმოებულობა. მიღებული ინტეგრალი არის ოპტიმალური ჰეჯური სტრატეგია ნოკაუტ ბარიერული ოფციონის რეპლიკაციისათვის ბაშელიეს მოდელის შემთხვევაში (პროფ. თ. ლლონტთან ერთად).

განხილულია, ევროპული ოფციონის ჰეჯირების ამოცანა ფინანსური ბაზრის ბლეკ-შოულსის მოდელში. როგორც ცნობილია, ჰეჯირების პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური მეთოდი კლარკ-ოკონეს სტოქასტური ინტეგრალური ნარმოდგენის ფორმულა, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში აღნიშნული ფორმულის გამოყენება ვერ ხერხდება, ვინაიდან ჩვენ მიერ განხილული გადასახადის ფუნქცია არაა დიფერენცირებადი მალიენის აზრით. შემოთავაზებულია ჰეჯირების ამოცანის გადაჭრის არატრადიციული მეთოდი, რისთვისაც გამოყენებულია სემიმარტინგალის ლოკალური დროის ცნება და მისი კავშირი ჰერტაუდ კვადრატულ მახასიათებელთან (პროფ. თ. ლლონტთან ერთად).

ნაჩვენებია პირობითი ალბათობის განმარტების ბუნებრიობა, რისთვისაც ალბათობის კლასიკური განმარტება წინასწარ გადაწერილია შესაბამისი ფორმით. მოყვანილია მრავალი საინტერესო და საინტელექტუალური მაგალითი და მათი ამოხსნის მეთოდები, რომელთაგან უმეტესობა პირობითი ალბათობის ცნების შემოღების მიზანშეწონილებას და მის პრაქტიკულ გამოყენებებს სხვადასხვა სფეროში. გადმოცემულია ისეთი პოპულარული „პარადოქსის“ ახსნა, როგორიცაა ე.წ. „მონტი-ჰოლის პარადოქსი“.

თსუ-ის გამომცემლობას, მესამედ გადაეცა გამოსაცემად პროფესორ ომარ ფურთუხიას სახელმძღვანელო „ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები (თეორიული ცნობარი, მეთოდური მითითებები, ამოცანები)“. ნიგნი ქართულ ენაზე და მოიცავს ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის პრაქტიკული და თეორიული ხასიათის ამოცანების გადაწყვეტის მეთოდებსა და ხერხებს. იგი გამოიყენება ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სხვადასხვა დისციპლინებისათვის. ნაშრომში სრულად და საფუძვლიანად არის გადმოცემული თანამედროვე ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის წინაშე წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული და თეორიული ხასიათის საკითხები. ტრადიციულ ამოცანებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტატისტიკის აქტუალურ პრობლემებს.

შემოთავაზებულია, კლარკის სტოქასტურ ინტეგრალურ ნარმოდგენაში ინტეგრანდის პოვნის მეთოდი კვადრატული ინტეგრებადი ბროუნის ფუნქციონალისათვის, რომელიც მოეთხოვება მხოლოდ პირობითი მათემატიკური ლოდინის სტოქასტურად (მალიენის აზრით) ნარმოებადობა განსხვავებით ტრადიციული მოთხოვნისაგან, რომ თვითონ ფუნქციონალი იყოს სტოქასტურად ნარმოებადი (როგორც ეს მოითხოვება კლარკ-ოკონეს კარგად ცნობილ ფორმულაში). ეს მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ ინტეგრანდის ცხადი სახე იმ შემთხვევაში, როცა ფუნქცია ნაღს არ გააჩნია მალიენის აზრით ნარმოებულობა. ნარმოდგენილია ძირითადი შედეგის ზოგიერთი გამოყენებები. ვინერის პროცესის ერთი ფუნქციონალისათვის, რომელიც ფინანსური ბაზრის ბაშელიეს მოდელის შემთხვევაში წარმოადგენს გადასახადის ფუნქციას ნიკაუტ ბარიერული ოფციონისათვის, მიღებულია კლარკის ინტეგრალური ნარმოდგენა ცხადი ინტეგრანდით. ეს ფუნქციონალი ევროპული კოლ ოფციონის გადა-

თსუ-ის გამომცემლობას ასევე გამოსაცემად გადაეცა სახელმძღვანელო: „გამოყენებითი სტატისტიკის საფუძვლები“, რომელიც შესრულებულია ომარ ფურთუხიას მიერ, ე. მანჯგალაძესა და გ. სოხაძესთან ერთად. იგი წარმოადგენს ავტორების მიერ, სტატისტიკაში ნაკითხული ლექციების კურსების გადამუშავებულ ვარიანტს. სახელმძღვანელო მოიცავს აღწერითი (დესკრიპტიული) სტატისტიკის, ალბათობის თეორიის და სტატისტიკური დასკვნების თეორიის მნიშვნელოვან ასპექტებს. მასში თვალსაჩინოდაა გადმოცემული ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ყველაზე ხშირად

პროფესორი ომარ ფურთუხია გვესაუბრება თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის საქმიანობის შესახებაც. იგი აღნიშნავს, რომ გასულ წელს თსუ-ის თანადამფუძნებლისა და ქართველ მათემატიკოსთა პირველი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლის, პროფესორ ანდრია რაზმადის 125 წლის იუბილე გაიმართა. ამ თარიღსვე მიეძღვნა თსუ-ის ზსმფ მეორე კონფერენციის მათემატიკის დეპარტამენტის სხდომები. წლის ბოლოს დეპარტამენტში აღინიშნა ტოპოლოგიის ქართული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის 100 წლის იუბილე.

დეპარტამენტში აღინიშნა მათემატიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელი პედაგოგისა და მეცნიერის, ქალბატონ ეთერ ალშიბაიას 90 წლის იუბილე, სადაც მას გადაეცა თსუ-ის მედალი.

„თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა 75 წლის იუბილე მივლოცო ჩვენს სახელოვან მეცნიერს, პროფესორ ომარ ლლონტს. განსაკუთრებული მადლიერებით ვულოცავ 70 წლის იუბილეს ახალი ზელანდიის ეროვნული აკადემიის წევრს, პროფესორ ესტატე ხმალაძეს, რომელიც დიდი ხანია ფაკულტეტს რეგულარულად და უსასყიდოდ უგზავნის სხვადასხვა უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურას. მან 2007 წელს დააარსა მისივე სახელობის სტიპენდია წარწინებული მაგისტრებისთვის, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა“, — განაცხადა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ომარ ფურთუხიამ.

სამეცნიერო საქმიანობაში ხელშეწყობასა და გარკვეული პრობლემების მოგვარების აუცილებლობაზე საუბრისას, პროფესორი ფურთუხია დასძენს, რომ გადასახედა თსუ-ში დღემდე შემორჩენილი სახელოვანო პოლიტიკა. „სამართლიანი იქნება, რომ პროფესორის საბაზო ხელფასი, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, იყოს ერთი და იგივე, ხოლო ე.წ. დანამატი პროპორციული იყოს პროფესორის რეიტინგის, ცენზის და დამატებითი დატვირთვის (და არა სტუდენტთა რიცხოვნების). ამ ხარვეზის გამოსწორების ერთ-ერთი საშუალებაა სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნივერსიტეტისთვის საბაზო დაფინანსების გამოყოფა“, — განაცხადა მან.

სხვა აუცილებელ პირობათა ჩამონათვაშია აკადემიური პერსონალის თანამედროვე კომპიუტერებით უზრუნველყოფა და მსოფლიოში აღიარებულ ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე აკადემიური პერსონალის წვდომა.

მომზადდა
თამარ ასლანიკაშვილმა



თენგიზ სანაძის ბახსენება

30 იანვარს 85 წელი შეუსრულდება გამოჩენილ ქართველ ფიზიკოსს, საქართველოში თანამედროვე რადიოფიზიკის ფუძემდებელს, აკადემიკოს თენგიზ სანაძეს. ბატონი თენგიზი მრავალმხრივი ნიჭით დააჯილდოვა ბუნებაში, მაგრამ პირველ ყოვლისა იგი იყო ბრწყინვალე ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი, საქართველოს პირობებში კი მაღალი ექსპერიმენტული კვლევის კულტურის დამწერგავი, რომლის შედეგებმა მას მსოფლიო აღიარება და ავტორიტეტი მოუტანა. ბატონი თენგიზი ანდამატივით იზიდავდა თავის გარშემო ნიჭიერ ახალგაზრდებს (ამის დასტურია მისი მრავალრიცხოვანი მონაფეხები!), ეხმარებოდა მათ პროფესიულ დასტატებაში, თავისი დიდი მასწავლებლების დარად საქმისადმი ერთგულებისა და თავდადების მაგალითს აძლევდა ყველას. ბატონი თენგიზი იყო შესანიშნავი პედაგოგი, რომელიც საოცრად უთავსებდა ერთმანეთს სტუდენტებისადმი მაღალ მოთხოვნას და კეთილგანწყობას. ამიტომ უყვარდათ იგი გამორჩევით ახალგაზრდებს, ამიტომაც ვითხოვდით, რომ სწორედ მას წაეკითხა პირველკურსელებისთვის პირველი ლექციები და შეეყვანა ისინი იმ დიდებულ და თვალწარმტაც სამყაროში, სადაც ფიზიკის კანონები ბატონობენ! მასზე კარგად ვერავინ შეძლებდა ამის გაკეთებას მას მერე, რაც ჩვენი ბრწყინვალე მასწავლებელთა თანავარსკვლავედი მარადისობაში გადავიდა.

ბატონი თენგიზი 45 წელი ხელმძღვანელობდა სპეციალურად მისთვის გახსნილ რადიოფიზიკის კათედრას, იყო საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საბჭოების წევრი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო საბჭოების წევრი, მრავალი საერთაშორისო კონფერენციის და სიმპოზიუმის მონაწილე.



მონოდებით მეცნიერს არ ემეტებოდა დრო ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, ამიტომაც აქვს უარი ნათქვამი საკმაოდ პრესტიჟულ თანამდებობებზე. მხოლოდ ერთხელ „შეაცდინეს“ და სამი წლითა ფიზიკის ფაკულტეტის დეკანობა „მიუსაჯეს“. მაშინაც კი, დროს მოიხელთებდა თუ არა, მის მიერვე შექმნილ ლაბორატორიაში გარბოდა. დიახ, სწორედ, ლაბორატორია, კათედრა და აუდიტორია იყო მისთვის ყველაზე სასურველი ადგილი. მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, რომ ბატონი თენგიზს ლექციაზე, სემინარზე ან გამოცდაზე დაეგვიანებინოს! ამით ის გამოსატყვევდა პატივისცემას სტუდენტების მიმართ, უნივერსიტეტის მიმართ, პროფესიის მიმართ,

თავისი დიდი მასწავლებლების მიმართ, პუნქტუალობა ცხოვრების წესად რომ ჰქონდათ ქცეული.

მიუხედავად მრავალმხრივი გამორჩეულობისა და დიდი ავტორიტეტისა, ბატონი თენგიზი საოცრად უბრალო იყო ადამიანურ ურთიერთობებში. მას არც სჭირდებოდა თავისი უპირატესობის ხაზგასმას, ისედაც ყველამ იცოდა ვინ იყო თენგიზ სანაძე! ამიტომ ეადვილებოდა მასთან ურთიერთობა ყველას, მიუხედავად ასაკისა, სტუდენტებიდან დაწყებული მისი რანგის აკადემიკოსების ჩათვლით. უზადო მეგობრობა იცოდა ბატონმა თენგიზმა. თანაც, მისი ხასიათიდან გამომდინარე, მის მეგობრებს შორის სხვადასხვა თაობის ადამიანებს ნახავდით. ბატონი თენგიზთან მე მრავალწლიანი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა და დღესაც ვამაყობ, რომ იგი ჩემი უფროსი მეგობარი იყო!

ბატონი თენგიზს შესანიშნავი ოჯახი დარჩა, მშვენიერი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები... მაგრამ დიდ სიხარულთან და ბედნიერებასთან ერთად მას არც ამქვეყნიური ტკივილები დაჰკლებია. ყველაზე გულსატკეპნი მისთვის მაინც უნივერსიტეტზე განხორციელებული ძალადობა იყო, როცა „რეფორმის“ მოტივით დაარბიეს პროფესურა, მიწასთან გაასწორეს სასწავლო და სამეცნიერო პროცესი, განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ მის მშობლიურ ფიზიკის ფაკულტეტს. ბატონი თენგიზი მის თანამოაზრეებთან ერთად კლდესავით დადგა უნივერსიტეტის გადასარჩენად, დიდი სამეცნიერო საბჭოს ღირსეულმა ნაწილმა (საბედნიეროდ უმრავლესობამ!) იგი საბჭოს დე-იურე თავმჯდომარედაც კი აირჩია. მაგრამ ბოროტებამ იმძლავრა, უნივერსიტეტს პოლიცია შეუსიეს, საქმეში პროკურატურა ჩართეს, ხოლო ჩვენმა „ბედოვლათმა“ სასამართლომ ბატონ

თენგიზს და მის თანამებრძოლებს „ხულიგნის“ სტატუსი მიაკერეს. გაივლის წლები და როცა მომავალი თაობები პიროვნულად შეაფასებენ 2004-2012 წლებში უნივერსიტეტში დატრიალებულ მოვლენებს, ვინ იცის, იქნებ სწორედ „ხულიგნის“ იარაღი იქცეს ბატონი თენგიზის მაღალი ზნეობის და დიდი კაცობის, უსამართლობასა და ძალადობასთან შეურიგებელი რაინდობის ერთ-ერთ უტყუარ საბუთად!

ბატონი თენგიზი ბავშვური ალტაცებით შეხვდა გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გამორჩენილ ახალ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ბოლო მოულო ქვეყანაში გამეფებულ უიმედობას. ბედის ირონიაა, რომ იგი ვერ მოესწრო ამ ახალი ძალის გამარჯვებას და ქვეყნის გადაარჩენისა და აღმავლობის შანსის გაჩენას!

ბატონო თენგიზ, ჩემო დიდო მეგობარო! ჩვენ ერთად ვიდევით ფიზიკის ფაკულტეტის ზეობის წლებში; შენ იყავი ბურჯი და მედროშე იმ წარმატებებისა, საყოველთაო აღიარება და პატივისცემა რომ მოუპოვა ჩვენს ფაკულტეტს. ჩვენ ერთად ვიდევით იმ უმძიმეს წლებში, როცა ბარბაროსებმა შემოუტყის ფიზიკის ფაკულტეტს, უნივერსიტეტს, მეცნიერებათა აკადემიას, ქათიანად განათლებასა და მეცნიერებას, მართულ კულტურას. შენ ყოველთვის გჯეროდა, რომ აღდგებოდა ფიზიკის ფაკულტეტი, ღირსებას დაიბრუნებდა უნივერსიტეტი, აღმავლობის გზას დაადგებოდა შენი საყვარელი საქართველო!

მეც მჯერა, რომ ასეც მოხდება, მაგრამ შენ ამას მხოლოდ ზეციდან დახედავ ჩვენს დიდ მასწავლებლებთან ერთად ან უკვე მარადისობაში გადასული თავადაც დიდი მასწავლებელი.

ჯემალ მავონია

გიორგი ხომერიკის მოსაგონებლად

როდესაც გამოსათხოვარ წერილს წერ, ძნელია ყველაფერი ისე თქვა, როგორც გინდა, როგორც ადრესატს ეკუთვნის, როგორც მას გაუხარდებოდა; ძნელია, ზუსტად მონახო სიტყვები, თავი მოუყარო სათქმელს, ერთი სიტყვით, ძნელია... ამიტომაც, ეს წერილი, თავიდანვე ვიცით, რომ მხოლოდ მკრთალი ანარეკლი იქნება იმ უცნაურ-გასაოცარ-რთული სამყაროში, რომელსაც გიორგი ხომერიკის სამყარო ჰქვია.

რუსთველის ყველაზე ენამჭევრი პერსონაჟი, მისი ალტერ ეგო - ავთანდილი ამბობს: „მე თუ მოგვკვდენ, ჩემი წილი სოფელიმცა გარდაქარდეს“, ანუ მე რომ მოგვკვდები, თან წავიღებ მთელ ჩემს სამყაროს, ისიც გაქრება ჩემთან ერთად.

ყოველი კაცი ინდივიდია - უნიკალურია; გიორგი ხომერიკი სწორედაც რომ სრულიად უნიკალური იყო მთელი თავისი არსებით, სამყაროსთან მიმართებით, ცხოვრებით, ახირებით, ურთიერთობებით, სწორედაც რომ სრულიად განსაკუთრებული. ამიტომაც, ბევრად უფრო რთულია მასზე წერა. წავიდა და თან თავისი განუყოფელი სივრცე წაიყოლა, წაიღო თავისი „სოფელი“ - ფიქრით,



შეგრძნებით, ლექსებით, შემოქმედებით, შიშით, მრავალი ტკივილითა და ტანჯვით სავსე თავისი „სოფელი“. მაინც ბევრი მოასწრო, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. სწეულება არ ანებებდა ძველებურად ემუშავა, თავისი ინტელექტი და ნიჭი შემოქმედებისკენ და მეცნიერებისკენ მიეპარათ.

გიორგი ხომერიკმა ქართულ ლიტერატურაში საკუთარი კვალი დატოვა. იგი იყო პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი და მის ლირიკულ ქმნილებებს, რომლებშიც მარტოსული ადამიანის დარდი და სევდაა ჩაბუდებული, რომლებშიც ანტიკური მითოსის პოეტური ხატებია გასაოცარი სიღრმითა და მშვენიერებით გაცოცხლებული, ალბათ, მრავალგზის მიუბრუნდება ქართველი მკითხველი. უნდა ითქვას, რომ მშვენიერების ეს განცდა, რომელიც გია ხომერიკის ლირიკული „ეგოს“ თანამდევნი იყო მუდამ იმითაც იყო განპირობებული, რომ მისი პოეტური სული ანტიკური სამყაროს იდუმალბუნა იყო ზიარებული. მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მრავალი წელი სოფოკლეს ტრაგედიათა ქართულ ენაზე თარგმნას დაუთმო. როგორც

ჩანს, და ამა თვადაც მრავალგზის აღნიშნავდა, ოდიპოსის ტრაგედია მის სულს თავისი დიდი დასავსა. ამ თემას მიუძღვნა მან ორიგინალური და პოეტური განცდით გაჯერებული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებსაც ლიტმოტივად გასდევდა „მამისა და ძის“ ურთიერთობის პრობლემა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ხომერიკის კვლევითი ხასიათის სხვა თხზულებებშიც მისი „პოეტური ეგო“ თვალსაჩინო, რადგანაც იგი თეორიული მსჯელობების დროსაც პოეტად რჩებოდა.

ჩვენ, მისი ახლობლები გულწრფელად განვიცდით, რომ წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი „მშვენიერებისა და მარტოობის განცდით“ შეპყრობილი ადამიანი, მისი სიყრმის მეგობრის ხატოვანი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ „ტირესიასის რჩეული“, უბრალოდ — პოეტი.

ნანა ტონია,
მანანა ლარიაშვილი,
თსუ-ის კლასიკური ფოლოლოგიის,
ბიზანტიანიტიკისა და ნეოგრეციანიტიკის
ინსტიტუტი

იგი ჩვენს სამეგობროს ალამაზებდა

ჩვენგან წავიდა ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, უნივერსიტეტების მრავალი თაობის აღმზრდელი და ღირსეული კოლეგა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ქალბატონი ვენერა ფრანგიშვილი.

ქალბატონი ვენერა ფრანგიშვილი დაიბადა 1929 წლის 8 აპრილს ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1952 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ზოტექნიკური სავეტერინარო ინსტიტუტი და შრომითი საქმიანობაც იქვე, სასოფლო-სამეურნეო ნაშენებელთა ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრის ლაბორანტად დაიწყო, ხოლო 1954 წლიდან იმავე კათედრის ასისტენტი იყო.

1958 წელს ჩაირიცხა საქართველოს სოფლის-მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის სპეციალობით, რომლის დამთავრების შემდეგ, 1961 წლიდან 1969 წლამდე, მუშაობდა საქართველოს ზოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლად.

1966 წელს ვენერა ფრანგიშვილმა დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეო-



ბის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1969 წლიდან 1973 წლამდე იგი მუშაობდა კომბინირებული საკვების მრეწველობის საკა-

შრო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში ეკონომიკური კვლევის ლაბორატორიის გამგის, ხოლო შემდეგ — უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

1974 წლიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგრარულ პრობლემათა განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

1976 წლიდან ქალბატონმა ვენერა ფრანგიშვილმა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუკავშირა. იგი კონკურსის წესით არჩეულ იქნა თსუ-ის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა 2002 წლამდე.

1981 წლიდან იგი დაინიშნა თსუ-ის სახალხო მეურნეობის დეპარტამენტის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ.

2002 წელს ქალბატონი ვენერა ფრანგიშვილი გადაიყვანეს მაკროეკონომიკის კათედრაზე, ხოლო 2005 წლიდან ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე, სადაც იგი დოცენტის თანამდებობაზე მუშაობდა 2006 წლამდე.

უკანასკნელ წლებში ქალბატონი ვენერა ფრანგიშვილი მუშაობდა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მონვეული პროფესორის თანამდებობაზე.

1999 წელს ქალბატონი ვენერა ფრანგიშვილი 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო — პედაგოგიური მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედალით.

მას ჰყავდა შესანიშნავი მეუღლე, რომელიც ადრევე დაკარგა, მან გაზარდა შესანიშნავი შვილები — მაია და მამუკა, რომლებიც არასოდეს დაივიწყებენ ძვირფას დედას.

ყოველივე, რაც ითქვა ძვირფასი ქალბატონი ვენერა ფრანგიშვილის შესახებ, ეს ხომ მხოლოდ მოკლე ბიოგრაფიული შტრიხებია, რასაც მუდამ თან ახლდა და ამშვენებდა მისი ფიზიკური მომხიბვლელობა და სულიერი სილამაზე. მას გათავისებულნი ჰქონდა ბიბლიური ზნეობისა და ღირსების ფასი და არც არასოდეს უღალატია მისთვის. იგი, უწინარეს ყოვლისა, იყო ქალი, დედა, რომელიც არ იღლებოდა შვილების, ყველა მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულით. იგი ბედნიერი იყო სხვების ბედნიერებით, მას შეეძლო სხვისი ტკივილი თავისად გაეხადა, სხვისი სიხარულით გაეხარა. იგი ჩვენს სამეგობროს ალამაზებდა. კაცობრიობას ხომ ზნეობრივი ადამიანები ქმნიან, წესიერება ხომ ერის ჯანმრთელობაა — აი, ასეთი იყო ჩვენი ვენერა და ასეთად დარჩება იგი ჩვენს მეხსიერებაში.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის ეკონომიკური
პოლიტიკის კათედრა

„დამწყები პოეტი“ პროზაშიც ცდილობს ბედი სცადოს

პურთისია ბაროშვილი

დათო ხუროძე მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწიდან ჩამოვიდა სასწავლებლად. ოცნება აიხდინა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. სკოლაში ყველა საგანს კარგად სწავლობდა, მაგრამ გეოგრაფია განსაკუთრებით უყვარს და ამიტომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩააბარა. მისი მომავალი სპეციალობა სამხედრო გეოგრაფიაა. ამბობს, რომ ამ შედარებით ახალ დარგს დიდი პერსპექტივა აქვს და ამიტომ ყველაფერს გააკეთებს, რომ კარგი სპეციალისტი გახდეს.

დათოს, როგორც მისი თანატოლი ბიჭების უმრავლესობას, სპორტიც უყვარს. უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე იგი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის წევრი გახდა და აქტიურად ჩაერთო საუნივერსიტეტო სპორტული ღონისძიებების ორგანიზების პროცესში. მიაჩნია, რომ ახალგაზრდა თაობისთვის სპორტის პოპულარიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „ბევრი ჩემი თანატოლი აზარტული თამაშებით არის გატაცებული, რაც ძალიან გულდასაწყვეტია, ამიტომ ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩაერთოს სპორტულ შეჯიბრებებში. უნივერსიტეტს ამის კარგი პოტენციალი აქვს, მეც ხალისით ვმონაწილეობ ამ პროცესში“, — ამბობს დათო.

ერთი შეხედვით პრაქტიკული და საქმიანი დათო, სინამდვილეში, რომანტიკოსია. დიდი ხანია ლექსებს წერს, სხვათა შორის, თავისი „მუზაც“ ჰყავს, ამიტომ მისი ლექსების უმეტესობა სიყვარულზეა. „დამწყები პოეტი“ პროზაშიც ცდილობს ბედი სცადოს. „წერის პროცესი სიამოვნებას მანიჭებს. ჩემი ლექსები ჯერჯერობით გაზეთ „მარტვილში“ და ქუთაისის ერთერთ ახალგაზრდულ კრებულში დაიბეჭდა. მიხარია, როდესაც ჩემს შემოქმედებას სხვა ადამიანებიც ეცნობიან. ვწერ, რასაც ვგრძნობ და განვიცდი“, — ამბობს დათო.

წერის გარდა დათოს სხვა ვატიცებებიც აქვს — კითხვა და მუსიკის მოსმენა, — განსაკუთრებით ბეთჰოვენი უყვარს. თბილისში სტუდენტობის ცხოვრობს, საინტერესო სტუდენტური ცხოვრება აქვს, ასევე აქტიურად არის ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციის „თბილისი — 2015“-ის მუშაობაში, არდადეგებზე კი სოფელში ჩადის და მშობლებს საოჯახო საქმეებში ეხმარება.

დათოს სჯერა, რომ წინ საუკეთესო წლები ელოდება. სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ, საფრანგეთში გეგმავს. ამ მიზნით ფრანგულს შესწავლას აპირებს. სჯერა, რომ ამასაც შეძლებს...



გაზაფხულივით მოხვედი ჩემში
მომწონდა შენი სიტბო და ეშხი,
არ იგრძნობოდა სიყალბე არსით
და სიყვარულიც არ იყო ფარსი...
შენ გააღვიძე დიადი გრძნობა
და იმ სიძულვილს დაუნყე დნობა,
შენ მითვისე ეს ჩემი გული
ყოვლის შემძლეა ეს სიყვარული.
ამომდიოდა მზე მხოლოდ შენთვის
სხვა ყველაფრისთვის დაფრაზე კარი,
მაგრამ მოვიდა ისევე წვიმა
და დაღვა ნისლი, თქვენი და ქარი...

დათო ხუროძე

ანონსი

5 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ემერიტუს-პროფესორის მერაბ კერესელიძის წიგნის „მოგზაურობა ცხოვრებაში“ პრეზენტაცია გაიმართება. „მოგზაურობა ცხოვრებაში“ ორ წიგნად გამოიცა და მასში მხატვრულად აღწერილია თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოების ცხოვრება, მოღვაწეობა, ყოფითი თავგადასავლები.

5 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნინო პოპიაშვილი გამართავს სამეცნიერო გამოკვლევას: „მიგრაცია და ლიტერატურა“ პრეზენტაციას. პრეზენტაცია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში.


8 მარტს რუსთაველის თეატრი წარმოადგენს რობერტ სტურუას სპექტაკლს „ასული“, რომლის დასრულებისთანავე გაიმართება სპექტაკლის განხილვა. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თსუ-სა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, მწერლები, ექსპერტები და სტუდენტები. ამასთან, სპექტაკლის განხილვაში ჩართვის საშუალება მიეცემათ მაყურებლებსაც, რომლებიც შეძლებენ მათთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხი მოისმინონ შემოქმედებითი ჯგუფისგან, სპექტაკლში მონაწილე მსახიობებისა და რეჟისორ რობერტ სტურუასგან. მონვეული სტუმრები სპექტაკლს ხელოვნებათმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, თეოლოგიისა და სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებებით განიხილავენ. პროექტი რუსთაველის თეატრსა და თსუ-ის შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება.

10 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია „ეგროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია“ ჩატარდება. მომხსენებელი გახლავთ ამირან კავაძე — ყოფილი ელჩი დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში და შედეგში, ამჟამად „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ პროფესორი.

გადაცემა ყველა უნივერსიტეტისთვის



ცნობისთვის



თსუ-ის ვებ-გვერდი
TSU.EDU.GE მარჯვენა
ქვედა კუთხეში დაემატა
უნივერსიტეტის გადაცემების
ვიდეოჩანაწერების გვერდის
აღმნიშვნელი ჰიქტობრამა.
ამ ღილაკზე ხელის დაჭრით
თქვენ შეგიძლიათ უყუროთ
უნივერსიტეტის გადაცემებს



**უყურეთ შაბათს, 7 მარტს,
17 საათზე საზოგადოებრივი
მაუწყებლის მეორე არხის ეთერში
გადაცემას
„უნივერსიტეტი“**

მოგვწერეთ:
facebook.com
TSU/თსუ გადაცემა – უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სამხატვრო	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკომპოზიციონერი	ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი

რედაქციის მმართველი:
რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი,
ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე,
მანანა შამილიშვილი, თემურ
ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი,
მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე,
დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე,
ირაკლი კობახიძე, შალვა აბზიანიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის
გამზ. 11*
(თსუ-ის მე-3
კორპუსი)
tsunewsaper@tsu.ge
2 22 36 62